პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ შრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 29 დეკემბერი, 1945 წ. № 257 (7472). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

პარტიის რაიონული კომიტეტების ამოცანები საარჩევნო კამპანიაში — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ცნობა საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და შეერთებული სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის თათბირის შესახებ (1-ლი და მე-2 გვერდი).
საქართველოს სსრ სახკომსაბჭოში (მე-2 გვერდი).
საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დადგენილება (მე-2 გვერდი).
პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოში — სტუდენტთა საზამთრო არდადეგები (მე-2 გვერდი).
ჩვენი ქვეყანა ემზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის (მე-3 გვერდი).
ნ. ჯანჯღავა — როგორ გაანაღდეს პიროვნება ლაგოდეხელებმა (მე-3 გვერდი).
სასამართლო პროცესი ორიოლის, ბრიანსკისა და სმოლენსკის ოლქებში გერმანელ ფაშისტთა მხეცობის შესახებ (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

## პარტიის რაიონული კომიტეტების ამოცანები საარჩევნო კამპანიაში

საარჩევნო კამპანია ახალ პასუხსაგებ ფაზაში შედის. მალე დაიწყება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენება. პარტიის ამოცანები, როგორც შრომელთა მოწინავე რაზმისა და ბელადისა, უფრო და უფრო ფართოვდება.

პარტიული ორგანიზაციები ხელმძღვანელობენ ორგანიზაციულ და საგიტაციო-მასობრივ მუშაობას საარჩევნო კამპანიაში. ამ მუშაობის მასშტაბზე, მის გაქანებაზე ბევრად არის დამოკიდებული მომავალი არჩევნების წარმატება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ შრომელთა ფართო მასები ბოლშევიკების პარტიას სთვლიან თავიანთ პარტიად, ახლობელ და მშობლიურ პარტიად, და უყოყმანოდ ანდობენ მას თავიანთ ბედს. ახლა, არჩევნებისათვის მზადების დღეებში, პარტიულმა ორგანიზაციებმა თავისი გავლენა მასებზე კიდევ უფრო უნდა განამტკიცონ და გააძლიერონ. მთელი მუშაობა, რასაც პარტიული ორგანიზაციები ამჟამად ეწევიან, მასებთან მჭიდრო კავშირით უნდა მიმდინარეობდეს. მასებთან კავშირში, ამ კავშირის განმტკიცებაში მდგომარეობს ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ძალა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს ათეულმილიონობით ადამიანები. არჩევნების წარმატებით ჩატარებისათვის, მათი მტკიცედ დარაზმვა ყოველი პარტიული ორგანიზაციის სერიოზულ ამოცანას შეადგენს. განსაკუთრებით დიდი მოვალეობა ეკისრებათ პარტიის რაიონულ კომიტეტებს. მათ გონივრულად, სწორად უნდა გაანაწილონ ძალები, უზრუნველჰყონ ბოლშევიკური გავლენა მოსახლეობის ყოველ ფენაზე, თვითეულ ამომრჩეველზე.

საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით პროპაგანდისტული და საგიტაციო მუშაობა მნიშვნელოვნად გაძლიერდა. ეს სასახელოა ჩვენი პარტიული ორგანიზაციების, უწინარეს ყოვლისა, პარტიის რაიონული კომიტეტებისათვის. აგიტატორის მგზნებარე სიტყვები მთელი ხმით გაისმის ახლა ყველგან—ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დიასახლისებთან. სტალინური კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონის განმარტებამ ნამდვილად საყოველთაო სახალხო ხასიათი მიიღო. რაც უფრო ვუახლოვდებით არჩევნების დღეს, მით უფრო საჭიროა ამ მუშაობის გაძლიერება. ჩვენი მიზანია თვითეულმა ამომრჩეველმა კარგად იცოდეს თავისი უფლება-მოვალეობანი, საბჭოთა სამშობლოს ძლიერების წყაროები. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველი ამომრჩეველი კარგად იცნობდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის იმ კანდიდატს, რომელიც მის საარჩევნო ოლქში არის წამოყენებული.

არჩევნებისათვის მოსამზადებლად დიდ მუშაობას ეწევიან საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომები. ისინი სათავეში ჩაუდგნენ მასების პოლიტიკურ და საწარმოო აქტივობას. კარგად მოაწყეს სტალინური კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონის პოპულარიზაცია მასებში. ასობით ახალი აგიტატორი შეარჩიეს და მოამზადეს პარტიულმა ორგანიზაციებმა უკანასკნელ ხანებში. პარტკაბინეტები, აგიტკოლექტივები და აგიტპუნქტები სპეციალურად აგიტატორებისათვის აწყობენ ლექციებს, მოხსენებებს, ჯგუფურ და ინდივიდუალურ კონსულტაციებს. ეწყობა საგიტაციო მუშაობის გამოცდილებათა ურთიერთგაზიარება. დიდი ყურადღება მიექცა აგიტაციას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ფართოდ გაიშალა საგიტაციო მუშაობა დიასახლისებთან. ყოველივე აქედან ცხადია, რომ მნიშვნელოვნად ამაღლდა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დონე. და არა მარტო თბილისში ვხედავთ ასეთ სურათს, არამედ რაიონებშიც.

ეს, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ ან თბილისში, ან რაიონებში ნაკლოვანებანი არ გვქონდეს. ზოგან საგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაშლა ნელი ტემპით მიმდინარეობს. არ ჩქარობენ იმ იმედით, რომ არჩევნებამდე კიდევ არის დრო. აგვიანებენ აგიტპუნქტების მოწყობას, მათი კადრებით უზრუნველყოფას. ზოგიერთ სახლში ჯერ კიდევ არ მისულა აგიტატორი. საგიტაციო მუშაობისათვის ახლად გამოყოფილ ამხანაგებს ნაკლებ დახმარებას უწევენ. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა აგიტატორების შერჩევას ზერელედ ეკიდებიან. მაგალითად, ონის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში აგიტატორებად ბევრი ისეთი ამხანაგი გაგზავნეს, რომლებსაც თავიანთი ცოდნის დონის მიხედვით არ შეუძლიათ შეასრულონ ეს საპატიო მოვალეობა.

აუცილებელია აღნიშნულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორება. საჭიროა კიდევ უფრო გავაძლიეროთ საგიტაციო მუშაობა. პარტიის რაიონული კომიტეტი მოვალეა კარგად იცნობდეს იმ კადრებს, რომლებიც მასებში საარჩევნო კანონის პროპაგანდასა და აგიტაციას ეწევიან, ყოველდღიურად ხელმძღვანელობდეს და ეხმარებოდეს მათ.

პარტიის რაიონული კომიტეტების მუშაკებს მოეთხოვებათ შეისწავლონ ადგილებზე საგიტაციო-მასობრივი მუშაობის მდგომარეობა, დაესწრონ აგიტატორთა საუბრებს, დებულების შემსწავლელი წრეების მეცადინეობას, მოხსენებებსა და ლექციებს, ყოველთვის იცოდნენ საქმის ვითარება, საჭირო შემთხვევაში ზომები მიიღონ ნაკლოვანებათა თავიდან ასაცილებლად.

ბოლშევიკური აგიტაცია ყოველთვის გამოირჩეოდა იდეურობით. იგი უნდა იყოს უბრალო, ნათელი, დამარწმუნებელი, დამრაზმავი, ლენინურ-სტალინურ დიად სიმართლეზე დამყარებული. ცხადია, აგიტაცია მხოლოდ მაშინ არის მოწოდების სიმაღლეზე, როდესაც მას აწარმოებს ცოდნით აღჭურვილი, შრომელთა საქმის ერთგული ადამიანი. თუ აგიტატორს ძალა არ შესწევს მასების შეკითხვებს ნათელი, გარკვეული პასუხი გასცეს, წარმოდგენა არა აქვს მოვლენებზე, მას ნებით თუ უნებლიედ მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია. ამიტომ, სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის, საჭიროა გადავსინჯოთ აგიტატორთა კადრები, საქმისთვის შეუფერებელი გავათავისუფლოთ, მცოდნე, გამოცდილი ადამიანებით შევცვალოთ. ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ აგიტატორთათვის დახმარების მოწყობას, მათი ცოდნის დონის ამაღლებისათვის ზრუნვას.

არჩევნების წარმატებას მარტო საგიტაციო-მასობრივი მუშაობა როდი უზრუნველჰყოფს. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ორგანიზაციულ მუშაობასაც. მუშაობას შეუდგნენ საოლქო საარჩევნო და საუბნო საარჩევნო კომისიები. ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში მოწინავე, სანდო ადამიანები წარგზავნეს. საჭიროა ყოველდღიურად დავეხმაროთ მათ. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვენ საარჩევნო უბნები, რადგან, როგორც ცნობილია, არჩევნების ბედი სწორედ იქ სწყდება. პარტიის რაიონულმა კომიტეტმა უნდა იცოდეს, როგორ პირობებში მუშაობს საუბნო საარჩევნო კომისია, მოწყობილია თუ არა უბანი ისე, როგორც ამას საარჩევნო დებულება მოითხოვს, უზრუნველყოფილია თუ არა იგი განათებით, გათბობით, სატელეფონო კავშირით, საჭირო რაოდენობის ქაღალდით, ფანქრებით. არ უნდა დავივიწყოთ, რომ საარჩევნო კამპანიაში არ არსებობს წვრილმანი. ყველაფერს დიდი მნიშვნელობა აქვს.

ახლანდელი საარჩევნო კამპანია დიდ სამამულო ომში ჩვენი ქვეყნის ბრწყინვალე გამარჯვების მოპოვების შემდეგ მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლის სასიხარულო ვითარებაში მიმდინარეობს. სწორედ ამით არის გამოწვეული მშრომელი მასების უდიდესი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობა. პარტიის რაიონული კომიტეტების ამოცანაა სათავეში ჩაუდგნენ ამ აღმავლობას, უფრო მჭიდრო გახადონ კავშირი მასებთან, დარაზმონ ისინი ჩვენი ქვეყნის შემდგომი გაძლიერებისათვის, ლენინ-სტალინის დიადი საქმის ახალ-ახალი წარმატებისათვის.

## რსფსრ რესპუბლიკიდან ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა თათბირი

27 დეკემბერს შესდგა რსფს რესპუბლიკიდან ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა თათბირი. თათბირმა მოისმინა რესპუბლიკური კომისიის მდივნის ამხ. ე. ე. ანდრეევის მოხსენება საოლქო საარჩევნო კომისიათა მორიგი ამოცანების შესახებ. თათბირზე წამოჭრილი საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. ა. ფ. გორკინმა, ეროვნებათა საბჭოს არჩევნების რსფსრ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ს. ვ. კაფტანოვმა, ეროვნებათა საბჭოს არჩევნების კუიბიშევის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. მ. კ. გოლუბევმა, კალინინის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ვ. მ. გორბუნოვამ, კურსკის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გენერალ-მაიორმა ვ. მ. კოზირევმა და სხვებმა.

(საქტასი).

# ც ნ ო ბ ა

## საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და შეერთებული სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის თათბირის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და შეერთებული სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრები მოსკოვში თათბირობდნენ 1945 წლის 16-დან 26 დეკემბრამდე, შესაბამისად ყირიმის კონფერენციის გადაწყვეტილებისა, რომელიც დადასტურებულ იქნა ბერლინის კონფერენციაზე, იმის შესახებ, რომ მათ შორის უნდა ხდებოდეს პერიოდული კონსულტაციები.

საგარეო საქმეთა სამი მინისტრის თათბირზე განხილულ იქნა, არაფორმალური და კვლევითი წესით, და მიღწეულ იქნა შეთანხმება შემდეგ საკითხებზე:

I.

### იტალიასთან, რუმინეთთან, ბულგარეთთან, უნგრეთთან და ფინეთთან საზავო ხელშეკრულებათა მომზადების შესახებ

როგორც 1945 წლის 24 დეკემბერს გამოქვეყნდა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, შეერთებული სამეფოს და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობები აცხადებენ, რომ მათ მიაღწიეს შეთანხმებას და საფრანგეთისა და ჩინეთის მთავრობებს მიმართეს თხოვნით შეუერთდნენ შეთანხმებას საზავო ხელშეკრულებათა მომზადების ქვემომოყვანილი პროცედურის შესახებ:

1. საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ იტალიასთან, რუმინეთთან, ბულგარეთთან, უნგრეთთან და ფინეთთან საზავო ხელშეკრულებათა შედგენაში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოს მხოლოდ ის წევრები, რომლებიც არიან, ანდა, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს დაარსების შესახებ შეთანხმების პირობების თანახმად, რაც მიღებულ იქნა ბერლინის კონფერენციაზე, ითვლებიან კაპიტულაციის პირობების ხელმომწერ მხარეებად, უკეთუ და ვიდრე საბჭო არ მიიღებს ამ შეთანხმების შესაბამისად გადაწყვეტილებას სხვა წევრების მიწვევის შესახებ საბჭოში მონაწილეობის მისაღებად იმ საკითხებზე, რომლებიც მათ პირდაპირ ეხება, ესე-იგი:

a) იტალიასთან საზავო ხელშეკრულების პირობებს შეიმუშავებენ შეერთებული სამეფოს, შეერთებული შტატების, საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრები;

b) რუმინეთთან, ბულგარეთთან და უნგრეთთან საზავო ხელშეკრულებების პირობებს—საბჭოთა კავშირის, შეერთებული შტატებისა და შეერთებული სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრები;

c) ფინეთთან საზავო ხელშეკრულების პირობებს—საბჭოთა კავშირისა და შეერთებული სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრები;

საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეები დაუყოვნებლივ განაახლებენ თავიანთ მუშაობას ლონდონში იმ შეთანხმების საფუძველზე, რაც მიღწეულ იქნა ლონდონში საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პირველ სესიაზე განხილული საკითხების შესახებ.

2. როცა ყველა ამ პროექტის მომზადება დამთავრდება, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო მოიწვევს კონფერენციას იტალიასთან, რუმინეთთან, ბულგარეთთან, უნგრეთთან და ფინეთთან საზავო ხელშეკრულებათა განსახილველად. კონფერენციის შემადგენლობაში იქნებიან საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ხუთი წევრი, აგრეთვე ყველა წევრი გაერთიანებული ერებისა, რომლებიც მტრულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ ევროპაში წარმოებულ ომში აქტიურად მონაწილეობდნენ თავიანთი არსებითი სამხედრო კონტინგენტებით, სახელდობრ: ამერიკის შეერთებული შტატების, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, შეერთებული სამეფოს, ჩინეთის, საფრანგეთის, ავსტრალიის, ბელგიის, ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ბრაზილიის, ჰოლანდიის, საბერძნეთის, ინდოეთის, კანადის, ახალი ზელანდიის, ნორვეგიის, პოლონეთის, უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, ეთიოპიის, იუგოსლავიის, სამხრეთ აფრიკის კავშირისა.

კონფერენცია შესდგება არა უგვიანეს 1946 წლის 1 მაისისა.

3. კონფერენციის მუშაობის დამთავრებისა და მისი რეკომენდაციების განხილვის შემდეგ, იტალიასთან, რუმინეთთან, ბულგარეთთან, უნგრეთთან და ფინეთთან დროებითი ზავის პირობების ხელმომწერი სახელმწიფოები და იტალიასთან საზავო ხელშეკრულების მხრივ ხელმომწერ მოკავშირე სახელმწიფოებთან გათანაბრებული საფრანგეთი შეადგენენ შესაბამისად საზავო ხელშეკრულებათა საბოლოო ტექსტებს.

4. ამ სახით შედგენილს შესაბამის საზავო ხელშეკრულებათა საბოლოო ტექსტებს ხელს მოაწერენ იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლები, რომლებიც წარმოდგენილი არიან კონფერენციაზე და ომის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ მოცემულ მტრულ სახელმწიფოსთან.

შესაბამის საზავო ხელშეკრულებათა ტექსტები შემდეგ წარედგინება სხვა გაერთიანებულ ერებს, რომლებიც ომის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ მოცემულ მტრულ სახელმწიფოსთან.

5. საზავო ხელშეკრულებანი ძალაში შევლენ დროებითი ზავის შესაბამის პირობათა ხელმომწერი მოკავშირე სახელმწიფოების მიერ, აგრეთვე იტალიის მიმართ მათთან გათანაბრებული საფრანგეთის მიერ ამ ხელშეკრულებათა რატიფიცირებისთანავე.

საზავო ხელშეკრულებები რატიფიცირებულ უნდა იქნან აგრეთვე შესაბამისი მტრული სახელმწიფოების მიერ.

II.

### შორეული აღმოსავლეთის კომისიისა და იაპონიისათვის მოკავშირეთა საბჭოს შესახებ

#### A. შორეული აღმოსავლეთის კომისია

მიღწეულ იქნა შეთანხმება, რასაც შეუერთდა ჩინეთი, შორეული აღმოსავლეთის კომისიის დაარსების შესახებ, რომელიც შესცვლის შორეული აღმოსავლეთის საკონსულტაციო კომისიას. შორეული აღმოსავლეთის კომისიის კომპეტენცია იქნება შემდეგი:

I. კომისიის დაარსება

ამით არსდება შორეული აღმოსავლეთის კომისია, რომელიც შესდგება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, შეერთებული სამეფოს, ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, კანადის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, ინდოეთისა და ფილიპინების წარმომადგენელთაგან.

II. ფუნქციები

A) შორეული აღმოსავლეთის კომისიის ფუნქციები ის იქნება, რომ:

1. ჩამოაყალიბოს პოლიტიკური ხაზი, პრინციპები და ზოგადი საფუძვლები, რომელთა შესაბამისადაც შეიძლება განხორციელდეს იაპონიის მიერ კაპიტულაციის პირობებით ნაკისრი ვალდებულებანი.

2. გადასინჯოს ყოველი წევრის მოთხოვნით ყოველი დირექტივა, რომელიც მიეცემა მოკავშირე სახელმწიფოთა მთავარსარდალს, ან მთავარსარდლის მიერ მიღებული ყოველი გადაწყვეტილება, რაც ეხება პოლიტიკურ ხაზს, რომლის გატარებაც კომისიის იურისდიქციას ექვემდებარება.

3. განიხილოს ისეთი სხვა საკითხები, რომლებიც შეიძლება დაევალოს მას მონაწილე მთავრობებს შორის შეთანხმებით, კენჭისყრის პროცედურის შესაბამისად, რაც მოყვანილია ქვემოთ V, 2 მუხლში.

B) კომისია რეკომენდაციებს არ მისცემს როგორც სამხედრო ოპერაციების წარმოების მხრივ, ისე ტერიტორიული საკითხების რეგულირების მხრივ.

C) თავის საქმიანობაში კომისია იხელმძღვანელებს იაპონიისათვის მოკავშირეთა საბჭოს შექმნის ფაქტით და ანგარიშს გაუწევს იაპონიაში არსებულ საკონტროლო მექანიზმს, მთელი იერარქიული კიბის ჩათვლით, შეერთებული შტატების მთავრობიდან მთავარსარდლამდე, აგრეთვე მთავარსარდლის მიერ საოკუპაციო ჯარების სარდლობის განხორციელებას.

III. შეერთებული შტატების მთავრობის ფუნქციები

1) შეერთებული შტატების მთავრობა მოამზადებს დირექტივებს იმ პოლიტიკური ხაზის შესაბამისად, რომელსაც კომისია ატარებს, და გადასცემს მათ მთავარსარდალს შეერთებული შტატების მთავრობის სათანადო ორგანოების მეშვეობით. მთავარსარდლის მოვალეობა იქნება იმ დირექტივების განხორციელება, რომლებიც კომისიის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს გამოხატავენ.

2) თუ კომისია გადასწყვეტს, რომ რომელიმე დირექტივა ან გადაწყვეტილება, რაც გადასინჯულ იქნა II, A, 2 მუხლის შესაბამისად, უნდა შეიცვალოს, კომისიის გადაწყვეტილება განხილულ უნდა იქნას, როგორც პოლიტიკური ხასიათის გადაწყვეტილება.

3) შეერთებული შტატების მთავრობას, იმ შემთხვევაში, თუ წამოიჭრება სასწრაფო საკითხები, რომლებიც არ ეკუთვნიან იმ საკითხებს, რომელთა მიმართ კომისიამ უკვე ჩამოაყალიბა თავისი პოლიტიკა, შეუძლია დროებითი დირექტივები მისცეს მთავარსარდალს კომისიის გადაწყვეტილებათა მოლოდინში; ამასთან მხედველობაში მიღებულია, რომ ყოველგვარი დირექტივა, რომელიც შეეხება არსებითს ცვლილებებს იაპონიის საკონსტიტუციო სტრუქტურაში ან ცვლილებებს კონტროლის რეჟიმში, ანდა შეეხება იაპონიის მთელი მთავრობის შეცვლას, მიცემულ იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც კონსულტაცია მოხდება და მიღწეული იქნება შეთანხმება შორეულ აღმოსავლეთის კომისიაში.

4) ყველა გამოცემული დირექტივა დაცული იქნება კომისიის საქმეებში.

IV. კონსულტაციის სხვა მეთოდები

კომისიის დაარსება არ შეაფერხებს მონაწილე მთავრობების მიერ შორეული აღმოსავლეთის საკითხებზე კონსულტაციის სხვა მეთოდების გამოყენებას.

V. შემადგენლობა

1) შორეული აღმოსავლეთის კომისიის შემადგენლობაში იქნება თითო წარმომადგენელი ამ შეთანხმების მონაწილე თვითეული სახელმწიფოსაგან. აუცილებლობის მიხედვით, კომისიის წევრთა რაოდენობა შეიძლება გადიდებულ იქნას მონაწილე სახელმწიფოთა შორის შეთანხმებით, შორეულ აღმოსავლეთში არსებული სხვა გაერთიანებული ერების წარმომადგენელთა ან იმ ერების წარმომადგენელთა დამატების გზით, რომლებსაც იქ ტერიტორიები აქვთ. საჭიროების მიხედვით კომისია უზრუნველჰყოფს სრულ და სათანადო კონსულტაციას გაერთიანებული ერების იმ წარმომადგენლებთან, რომლებიც კომისიის წევრები არ არიან, კომისიის მიერ განსახილველ საკითხებზე და განსაკუთრებით იმ საკითხებზე, რომლებიც ასეთ ქვეყნებს შეეხება.

2) კომისიის მიერ გადაწყვეტილებათა მისაღებად საჭირო არ არის ერთხმივობა იმ პირობით, რომ გადაწყვეტილების თანახმა იქნება ყველა წარმომადგენელთა უმეტესობა მაინც, მათ შორის შემდეგი ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენლები: ამერიკის შეერთებული შტატებისა, შეერთებული სამეფოსი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ჩინეთისა.

VI. ადგილსამყოფელი და ორგანიზაცია

1. შორეული აღმოსავლეთის კომისიას ადგილსამყოფელად ექნება ვაშინგტონი. გარემოებათა მიხედვით, მას შეუძლია შეიკრიბოს სხვა ადგილებშიც, მათ შორის ტოკიოში, უკეთუ და როდესაც ეს სასურველად იქნება მიჩნეული.

მას შეუძლია გაატაროს ისეთი ღონისძიებანი თავისი თავმჯდომარის მეშვეობით, რაც შეიძლება მიზანშეწონილი აღმოჩნდნენ კონსულტაციისათვის მთავარსარდალთან, რომელიც მოკავშირე სახელმწიფოებს წარმოადგენს.

2. კომისიაში თვითეულ წარმომადგენელს შეიძლება ახლდეს სათანადო პერსონალი, მათ შორის როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო წარმომადგენლები.

3. კომისია აწყობს თავის სამდივნოს, ამასთან ნიშნავს ისეთ კომიტეტებს, რომლებიც შეიძლება მიჩნეულ იქნან მიზანშეწონილად, და სხვა გზებით აუმჯობესებს თავის ორგანიზაციასა და პროცედურას.

VII. მუშაობის დამთავრება

შორეული აღმოსავლეთის კომისიამ თავისი მუშაობა უნდა დაამთავროს, როცა ამის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს ყველა წარმომადგენელთა უმეტესობა მაინც, შემდეგი ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენელთა ჩათვლით: ამერიკის შეერთებული შტატებისა, შეერთებული სამეფოსი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ჩინეთის.

თავისი ფუნქციების შესრულების დამთავრებამდე კომისიამ უნდა გადასცეს ის ფუნქციები, რაც შეიძლება შესაბამისად გადაეცეს უშიშროების ყოველს დროებითს ან მუდმივს ორგანიზაციას, რომლის წევრებიც არიან მონაწილე მთავრობები.

მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის შესახებ, რომ შეერთებული შტატების მთავრობა ოთხი სახელმწიფოს სახელით აცნობებს I მუხლში აღნიშნულ სხვა მთავრობებს კომისიის კომპეტენციას და მიიწვევს მათ მონაწილეობა მიიღონ მასში გადასინჯულ საფუძვლებზე.

#### B. მოკავშირეთა საბჭო იაპონიისათვის

მიღწეულ იქნა აგრეთვე შემდეგი შეთანხმება იაპონიისათვის მოკავშირეთა საბჭოს შექმნის შესახებ, რასაც შეუერთდა ჩინეთი:

1. დაარსებულ იქნება მოკავშირეთა საბჭო, რომელსაც ადგილსამყოფელი ექნება ტოკიოში, მოკავშირე სახელმწიფოთა მთავარსარდლის (ან მისი მოადგილის) თავმჯდომარეობით მთავარსარდალთან კონსულტაციის მიზნით და მისთვის რჩევის მისაცემად იმ საკითხებზე, რომლებიც შეეხება კაპიტულაციის, ოკუპაციის და იაპონიისადმი კონტროლის პირობების განხორციელებას, აგრეთვე ამ პირობების შემავსებელი დირექტივების შესრულებას, და ამით მინიჭებული კონტროლგამწევი ძალაუფლების განხორციელების მიზნით.

2. მოკავშირეთა საბჭოს შემადგენლობაში იქნება მთავარსარდალი (ან მისი მოადგილე), რომელიც იქნება თავმჯდომარე და საბჭოს წევრი ამერიკის შეერთებული შტატებისაგან, საბჭოს წევრი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისაგან, საბჭოს წევრი ჩინეთისაგან და საბჭოს წევრი, რომელიც ერთდროულად წარმოადგენს შეერთებულ სამეფოს, ავსტრალიას, ახალ ზელანდიასა და ინდოეთს.

3. საბჭოს თვითეულ წევრს უფლება ექნება იყოლიოს სამხედრო და სამოქალაქო მრჩეველთაგან შემდგარი სათანადო შტატი.

4. მოკავშირეთა საბჭო იკრიბება ორ კვირაში ერთხელ მაინც.

5. მთავარსარდალი გასცემს ყველა ბრძანებას კაპიტულაციის, ოკუპაციის და იაპონიისადმი კონტროლის პირობების განსახორციელებლად, აგრეთვე ამ პირობების შემავსებელ დირექტივებს. ყველა შემთხვევაში გადაწყვეტილებანი გატარდება მთავარსარდლის მეშვეობით და მისი მითითებებით; მთავარსარდალი მოკავშირე სახელმწიფოთა ერთადერთი აღმასრულებელი ხელისუფლებაა იაპონიაში. მას საბჭოსთან ექნება კონსულტაცია და თათბირი არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხებზე ბრძანებათა გაცემამდე, რამდენადაც გარემოება ამას შესაძლოს გახდის. მისი გადაწყვეტილებანი ამ საკითხებზე საბოლოო იქნება.

6. თუ საბჭოს წევრი არ ეთანხმება მთავარსარდალს (ან მის მოადგილეს) შორეული აღმოსავლეთის კომისიის პოლიტიკური ხაზის გატარების შესახებ იმ საკითხებზე, რომლებიც შეეხება კონტროლის რეჟიმის ცვლილებებს, საკონსტიტუციო სტრუქტურის არსებითს ცვლილებებს და მთლიანად იაპონიის მთავრობის შეცვლას, მთავარსარდალი შეაჩერებს ამ საკითხებზე ბრძანების გაცემას მანამდე, სანამ შორეული აღმოსავლეთის კომისიაში მიღწეული არ იქნება შეთანხმება ამ საკითხებზე.

7. მოკავშირეთა საბჭოში სხვა მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენლებთან სათანადო წინასწარი კონსულტაციის შემდეგ მთავარსარდალს, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებანი იაპონიის მთავრობის ცალკეული მინისტრების შეცვლის შესახებ ანდა კაბინეტის ცალკეულ წევრთა გადადგომის შემდეგ განთავისუფლებული ვაკანტური პოსტების დაკავების შესახებ.

III.

### კ ო რ ე ა

1. კორეის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღდგენის მიზნით, დემოკრატიულ საწყისებზე მისი განვითარების პირობების შესაქმნელად და კორეაში იაპონელთა ხანგრძლივი ბატონობის დამღუპველი შედეგების უსწრაფესი ლიკვიდაციისათვის იქმნება კორეის დროებითი დემოკრატიული მთავრობა, რომელიც ყველა საჭირო ღონისძიებას იხმარს კორეის მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის და კორეელი ხალხის ეროვნული კულტურის განვითარებისათვის.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

# ც ნ ო ბ ა
## საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და შეერთებული სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის თათბირის შესახებ

(დასასრული)

2. კორეის დროებითი მთავრობის შექმნისათვის დახმარების გასაწევად და სათანადო ღონისძიებათა წინასწარ შესამუშავებლად შეიქმნას ერთობლივი კომისია სამხრეთ კორეაში მყოფი ამერიკის ჯარების სარდლობისა და ჩრდილოეთ კორეაში მყოფი საბჭოთა კავშირის ჯარების სარდლობის წარმომადგენელთაგან. კომისიას თავის წინადადებათა შემუშავების დროს კონსულტაცია უნდა ექნეს კორეის დემოკრატიულ პარტიებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. კომისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდეს ორი მთავრობა, რომლებიც წარმოდგენილი არიან ერთობლივ კომისიაში, განსახილველად უნდა წარედგინოს შეერთებული შტატების, საბჭოთა კავშირის, შეერთებული სამეფოსა და ჩინეთის მთავრობებს.

3. ერთობლივ კომისიას ევალება კორეის დროებითი დემოკრატიული მთავრობისა და კორეის დემოკრატიულ ორგანიზაციათა მონაწილეობით შეიმუშაოს აგრეთვე კორეელი ხალხის პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური პროგრესისადმი, კორეის დემოკრატიული თვითმმართველობისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დამყარების განვითარებისადმი დახმარებისა და ხელშეწყობის (მეურვეობა) ღონისძიებანი.

ერთობლივი კომისიის წინადადებანი კორეის დროებით მთავრობასთან კონსულტაციის შემდეგ ერთობლივ განსახილველად გადაეცემა ამერიკის შეერთებული შტატების, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, შეერთებული სამეფოსა და ჩინეთის მთავრობებს, რათა შეიმუშაონ შეთანხმება კორეის მიმართ ოთხი სახელმწიფოს მეურვეობის შესახებ 5 წლამდე ვადით.

4. სასწრაფო საკითხების განსახილველად, რომლებიც ეხებიან როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ კორეას, და სამხრეთ კორეაში მყოფ ამერიკელთა სარდლობასა და ჩრდილოეთ კორეაში მყოფ საბჭოთა სარდლობას შორის ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში მუდმივი კოორდინაციის დამყარების ღონისძიებათა შესამუშავებლად ორი კვირის ვადაში მოწვეულ იქნას თათბირი კორეაში მყოფ ამერიკელთა და საბჭოთა სარდლობის წარმომადგენელთაგან.

### IV.
### ჩ ი ნ ე თ ი

სამმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ერთმანეთს გაუზიარა აზრები საკითხებზე, რომლებიც ეხებიან ჩინეთის მდგომარეობას. ისინი შეთანხმდნენ, რომ საჭიროა გაერთიანდეს ჩინეთი და მოხდეს მისი დემოკრატიზაცია ეროვნული მთავრობის ხელმძღვანელობით, ფართო მონაწილეობა მიიღონ დემოკრატიულმა ელემენტებმა ეროვნული მთავრობის ყველა ორგანოში და შესწყდეს სამოქალაქო ბრძოლა. მათ დაადასტურეს, რომ ერთგულნი არიან ჩინეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკისა.

ბ-ნ მოლოტოვსა და ბ-ნ ბირნსს რამდენიმე საუბარი ჰქონდათ ჩინეთში მყოფი საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეიარაღებული ძალების საკითხზე.

ბ-ნმა მოლოტოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა განაიარაღეს იაპონელთა ჯარები მანჯურიაში და იქიდან გაიყვანეს ისინი, მაგრამ საბჭოთა ჯარების გამოყვანა გადადებულია 1 თებერვლამდე ჩინეთის მთავრობის თხოვნით.

ბ-ნმა ბირნსმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეიარაღებული ძალები ჩრდილოეთ ჩინეთში იმყოფებიან ჩინეთის მთავრობის თხოვნით და დაიმოწმა აგრეთვე ის, რომ შეერთებულ შტატებს ეკისრებათ მთავარი პასუხისმგებლობა კაპიტულაციის პირობების შესრულებისათვის იმ მხრივ, რაც შეეხება იაპონიის ჯარების განიარაღებასა და გაყვანას. ბირნსმა განაცხადა, რომ ამერიკის შეიარაღებული ძალები გამოყვანილ იქნებიან, როგორც კი ეს მოვალეობა შესრულებული იქნება, ან მაშინ, როცა ჩინეთის მთავრობა შესძლებს შეასრულოს ეს მოვალეობა ამერიკის შეიარაღებული ძალების დაუხმარებლად.

ორ საგარეო საქმეთა მინისტრს შორის სრული თანხმობა არსებობს იმაზე, რომ სასურველია ჩინეთიდან გამოყვანილ იქნას საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეიარაღებული ძალები რაც შეიძლება მოკლე ვადაში, რომელიც კი შეესაბამება მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას და მათს პასუხისმგებლობას.

### V.
### რ უ მ ი ნ ე თ ი

სამი მთავრობა მზად არის მეფე მიხაის მისცეს რჩევა, რომელიც მან ითხოვა 1945 წლის 21 აგვისტოს თავის წერილში, რუმინეთის მთავრობის შემადგენლობის გაფართოების შესახებ.

მეფეს უნდა მიეცეს რჩევა მთავრობაში შეიყვანოს ნაციონალ-ცარანისტული პარტიის ერთი წევრი და ლიბერალური პარტიის ერთი წევრი. ქვემოხსენებული კომისია უნდა დარწმუნდეს, რომ:

ა) ისინი ნამდვილად არიან ამ პარტიების იმ ჯგუფების წარმომადგენლები, რომლებიც წარმოდგენილი არ არიან მთავრობაში;

ბ) ისინი შესაფერისნი არიან და ლოიალურად იმუშავებენ მთავრობასთან ერთად.

სამი მთავრობა მხედველობაში იღებს, რომ ამრიგად რეორგანიზებულმა რუმინეთის მთავრობამ უნდა განაცხადოს, რომ რაც შეიძლება მალე ჩატარდება თავისუფალი და დაუბრკოლებელი არჩევნები საყოველთაო და ფარული კენჭისყრის საფუძველზე. ყველა დემოკრატიულ და ანტიფაშისტურ პარტიას უნდა ჰქონდეს უფლება მონაწილეობა მიიღოს ამ არჩევნებში და წამოაყენოს თავისი კანდიდატები. რეორგანიზებულმა მთავრობამ პირობა უნდა დასდოს პრესის, სიტყვის, რელიგიისა და კრებების თავისუფლების მინიჭების შესახებ.

ა. ი. ვიშინსკის, ბ-ნ ა. ჰარიმანს და სერ ა. კლარკ კერს, როგორც კომისიას, დავალებული აქვთ დაუყოვნებლივ გაემგზავრონ ბუქარესტს მეფე მიხაისთან და ახლანდელი მთავრობის წევრებთან საკონსულტაციოდ ზემოაღნიშნული ამოცანების შესრულების მიზნით.

ამ ამოცანების გადაჭრისა და მოთხოვნილ განცხადებათა მიღებისთანავე, რუმინეთის მთავრობას, რომელთანაც საბჭოთა მთავრობას აქვს დიპლომატიური ურთიერთობა, სცნობენ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა და შეერთებული სამეფოს მთავრობა.

### VI.
### ბ უ ლ გ ა რ ე თ ი

სამ მთავრობას შორის დადგენილია, რომ საბჭოთა მთავრობა კისრულობს მისიას მეგობრული რჩევა მისცეს ბულგარეთის მთავრობას, რომ სასურველია ბულგარეთის სამამულო ფრონტის მთავრობაში, რომელიც ახლა იქნება, შეყვანილ იქნას დამატებით სხვა დემოკრატიულ ჯგუფთა ორი წარმომადგენელი, რომელნიც:

ა) ნამდვილად წარმოადგენენ იმ პარტიათა ჯგუფებს, რომლებიც მთავრობაში არ მონაწილეობენ და

ბ) ნამდვილად შესაფერისი არიან და ლოიალურად იმუშავებენ მთავრობასთან ერთად.

როგორც კი ამერიკის შეერთებული შტატების და შეერთებული სამეფოს მთავრობები დარწმუნდებიან, რომ ბულგარეთის მთავრობამ მიიღო ეს მეგობრული რჩევა და აღნიშნული დამატებითი წარმომადგენლები შეყვანილ იქნებიან მის შემადგენლობაში, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა და შეერთებული სამეფოს მთავრობა სცნობენ ბულგარეთის მთავრობას, რომელთანაც საბჭოთა კავშირის მთავრობას უკვე აქვს დიპლომატიური ურთიერთობა.

### VII.
### გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ატომური ენერგიის საკონტროლო კომისიის დაარსების შესახებ

ატომური ენერგიის საკითხის განხილვა შეეხებოდა კომისიის დაარსებას გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და შეერთებული სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდნენ გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის განსახილველად შეიტანონ რეკომენდაციები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ კომისიის დაარსების შესახებ, რომელმაც უნდა განიხილოს ის პრობლემები, რომლებიც წამოიჭრნენ ატომური ენერგიის აღმოჩენის შედეგად და ამასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. ისინი შეთანხმდნენ მოიწვიონ უშიშროების საბჭოს სხვა მუდმივი წევრები, საფრანგეთი და ჩინეთი, აგრეთვე კანადა, შეუერთდნენ მათ იმ საკითხში, რომ იკისრონ გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის 1946 წლის იანვრის პირველ სესიაზე ქვემომოყვანილი რეზოლუციის შეტანის ინიციატივა:

„გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ გადასწყვიტა დააარსოს კომისია ქვემომოყვანილი შემადგენლობითა და კომპეტენციით, რომელმაც უნდა განიხილოს ის პრობლემები, რომლებიც წამოიჭრნენ ატომური ენერგიის აღმოჩენის შედეგად და ამასთან დაკავშირებული სხვა საკითხები".

#### I. კომისიის დაარსება

ამით გენერალური ასამბლეა აარსებს კომისიას ქვემოთ, V ნაწილში გათვალისწინებული კომპეტენციით.

#### II. კომისიისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოების ურთიერთობა

a) კომისიამ თავისი მოხსენებები და რეკომენდაციები უნდა წარუდგინოს უშიშროების საბჭოს და ასეთი მოხსენებები და რეკომენდაციები გამოქვეყნდება, თუ უშიშროების საბჭო, მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის, არ მისცემს სხვა განკარგულებებს. სათანადო შემთხვევებში უშიშროების საბჭომ ეს ანგარიშები უნდა გადასცეს გენერალურ ასამბლეას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებს, აგრეთვე ეკონომიურ და სოციალურ საბჭოს და სხვა ორგანოებს, რომლებიც ეკუთვნიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემას.

b) იმის გამო, რომ უშიშროების საბჭოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების თანახმად აკისრია მთავარი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის, იგი დირექტივებსა და მითითებებს მისცემს კომისიას იმ საკითხებზე, რომლებიც უშიშროებას შეეხებიან. ამ საკითხებზე კომისია თავისი მუშაობის ანგარიშს ჩააბარებს უშიშროების საბჭოს.

#### III. კომისიის შემადგენლობა

კომისია უნდა შესდგებოდეს იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან, თვითეული სახელმწიფოსაგან თითო წარმომადგენელი, რომლებიც წარმოდგენილი არიან უშიშროების საბჭოში, და კანადის წარმომადგენლისაგან, როცა ეს სახელმწიფო უშიშროების საბჭოს წევრი არ იქნება. ყოველ წარმომადგენელს კომისიაში შეუძლია ჰყავდეს ისეთი თანაშემწეები, როგორსაც მოისურვებს.

#### IV. პროცედურის წესები

კომისიას ეყოლება ისეთი აპარატი, როგორსაც იგი საჭიროდ მიიჩნევს, და წარუდგენს რეკომენდაციებს პროცედურის თავისი წესების შესახებ უშიშროების საბჭოს, რომელმაც უნდა დაამტკიცოს ისინი როგორც საპროცედურო ხასიათის საკითხები.

#### V. კომისიის კომპეტენცია

კომისია დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს თავის მუშაობას, გამოიკვლიოს პრობლემის ყველა ფაზა და დროდადრო ისეთი რეკომენდაციები გააკეთოს მათ შესახებ, როგორსაც შესაძლოდ მიიჩნევს. კერძოდ, კომისიამ უნდა შეიტანოს განსაზღვრული წინადადებანი:

a) სამშვიდობო მიზნით ყველა ქვეყნებს შორის ძირითადი სამეცნიერო ინფორმაციის გაცვლის გავრცელების შესახებ;

b) ატომური ენერგიისადმი კონტროლის შესახებ იმ მოცულობით, რაც საჭიროა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას მისი გამოყენება მხოლოდ სამშვიდობო მიზნით;

c) ატომური იარაღის და მასობრივი მოსპობისათვის გამოსადეგი ყველა სხვა ძირითადი სახის იარაღის ნაციონალური შეიარაღებიდან გამორიცხვის შესახებ;

d) სიფრთხილის ეფექტიან ღონისძიებათა შესახებ გამოკვლევისა და სხვა მეთოდთა გამოყენების გზით იმ სახელმწიფოების დასაცავად დარღვევათა და გადახრათა რისკისაგან. რომლებიც იცავენ პირობებს.

კომისიამ მუშაობა უნდა აწარმოოს ცალკეულ ეტაპებად, რომელთაგან თვითეულის წარმატებით დამთავრება უზრუნველჰყოფს მსოფლიოში საჭირო ნდობას მანამდე, სანამ დაიწყებოდეს შემდეგი ეტაპი.

კომისია არ უნდა ჩაერიოს გაერთიანებული ერების რომელიმე ორგანოს მოვალეობებში, მაგრამ რეკომენდაციებს წარადგენს ამ ორგანოების განსახილველად მათ მიერ თავიანთი ამოცანების შესრულებისას, თანახმად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებისა.

**ვ. მოლოტოვი.**
**ერნსტ ბევინი.**
**ჯეიმს ფ. ბირნსი.**

1945 წლის 27 დეკემბერი.

## სამი მინისტრის თათბირის დელეგაციების შემადგენლობა

სამი საგარეო საქმეთა მინისტრის თათბირში მონაწილეობას იღებდნენ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის დელეგაციები შემდეგი შემადგენლობით:

საბჭოთა კავშირის დელეგაცია—ვ. მ. მოლოტოვი, ა. ი. ვიშინსკი, ფ. ტ. გუსევი, ი. ა. მალიკი, ს. კ. ცარაპკინი.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია — ბ-ნები დ. ბირნსი, ა. ჰარიმანი, ფ. კოენი, დ. კონანტი, ჩ. ბოლენი.

დიდი ბრიტანეთის დელეგაცია — ბ-ნები ე. ბევინი, ა. კერი, ა. კადოგანი, რ. კემბელი, რ. ბულარდი, გენერალ-მაიორი ი. ჯეიკობი.



ქალაქი დნეპროპეტროვსკი. პეტროვსკის სახელობის ქარხნის საბრძმედე საამქრო. ცენტრში — აღდგენილი ბრძმედი № 4. ფოტო ხედისისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

## ბ-ნი ბევინი მოსკოვიდან გაემგზავრა

28 დეკემბერს მოსკოვიდან გაემგზავრა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ე. ბევინი. ბ-ნ ე. ბევინთან ერთად გაემგზავრნენ საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივი მოადგილე ბ-ნი ა. კადოგანი, ბრიტანეთის ელჩი ირანში ბ-ნი რ. ბულარდი და საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები ბ-ნები რ. კემბელი, დ. სტერნდეილ ბენეტი და სხვები.

ცენტრალურ აეროდრომზე ბ-ნი ე. ბევინი გააცილეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ა. ი. ვიშინსკიმ, სსრ კავშირის ელჩმა დიდ ბრიტანეთში ფ. ტ. გუსევმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა ფ. ფ. მოლოჩკოვმა, ვ. ი. ეროფეევმა, ვ. გ. ტრუხანოვსკიმ, დიდი ბრიტანეთის საელჩოს წევრებმა მოსკოვში ელჩ ბ-ნ ა. კერის მეთაურობით, ჩინეთის ელჩმა ბ-ნმა ფუ ბინ-ჩანმა, საფრანგეთის ელჩმა გენერალმა ჟ. კატრუმ, ავსტრალიის დესპანმა ბ-ნმა დ. მალონეიმ, ახალი ზელანდიის დესპანმა ბ-ნმა ჩ. ბოსველმა, კანადის საქმეთა რწმუნებულმა ბ-ნმა ლ. მეირანდმა.

აეროდრომი მორთული იყო ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის ალმებით.

## ბ-ნ ბევინის განცხადება

დიდ ბრიტანეთში გაფრენის წინ აეროდრომზე ბ-ნმა ბევინმა შემდეგი განცხადება გააკეთა მიკროფონთან:

„ახლა დიდ ბრიტანეთში დაბრუნებას ვაპირებ მოსკოვში ფრიად სასიამოვნო დარბაზობის შემდეგ, რომლის დროსაც ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა ერთმანეთისათვის გაგვეზიარებინა შეხედულებანი და შევთანხმებულიყავით მრავალ საკითხზე.

შემიძლია მხოლოდ იმედი ვიქონიო, რომ ჩვენი კონფერენციის შედეგი სარგებლო იქნება არა მარტო ჩვენი ქვეყნებისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვისაც.

არ შემიძლია ისე წავიდე, რომ მადლობა არ გადავუხადო საბჭოთა მთავრობას, მინისტრებსა და ყველას, ვინც ხელი შეუწყო იმას, რომ ჩვენი აქ ყოფნა სასიამოვნო ყოფილიყო, და ვინც ასეთი დიდი სტუმართმოყვარეობა გამოიჩინა ჩვენდამი ყოველმხრივ.

სალამი მთელ საბჭოთა ხალხს და ნახვამდის!"

## საქართველოს სსრ სახკომსაბჭოში

საქართველოს სსრ მოსახლეობის გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებათა უკეთ დაკმაყოფილებისა და რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის ხელმძღვანელობის გაძლიერების მიზნით, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ დაადგინა მოაწყოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტი რესპუბლიკური სახალხო კომისარიატის უფლებებით, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახკომსაბჭოებთან — კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოები და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომთან და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების ყველა აღმასკომთან — კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის განყოფილებები.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტსა და მის ადგილობრივ ორგანოებს დაკისრებული აქვთ ხელმძღვანელობა გაუწიონ სახელმწიფო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მთელ ქსელს (ბიბლიოთეკებს, მუზეუმებს, კლუბებს, კულტურის სახლებს, ქოხ-სამკითხველოებს, სალექციო ბიუროებს, კულტურისა და დასვენების პარკებს), ხელმძღვანელობა გაუწიონ სასწავლებლებს, რომლებიც ამზადებენ კადრებს ამ დაწესებულებათათვის, აგრეთვე სახელმწიფო კონტროლი გაუწიონ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული ყველა უწყებისა და ორგანიზაციის ბიბლიოთეკების, მუზეუმებისა და საკლუბო დაწესებულებების მუშაობას.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის გამგებლობაში გადაცემულია საქართველოს სსრ განსახკომიდან: კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა ქ. თბილისში, სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა ქ. ქუთაისში, აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკური ბიბლიოთეკა ქ. სოხუმში, აჭარის ასსრ რესპუბლიკური ბიბლიოთეკა ქ. ბათუმში, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო ბიბლიოთეკა ქ. სტალინირში, ჯაფარიძის სახელობის სახელმწიფო სამეცნიერო ბიბლიოთეკა ქ. თბილისში, სახელმწიფო [illegible] ბიბლიოთეკა ქ. თბილისში, სახელმწიფო წიგნის პალატა ქ. თბილისში, სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი ქ. თბილისში, სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ქ. თბილისში, სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ქ. ქუთაისში, აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო მუზეუმი ქ. სოხუმში, აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმი ქ. ბათუმში, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო მუზეუმი ქ. სტალინირში, რევოლუციის მუზეუმი ქ. ბათუმში, სახელმწიფო-ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ქ. გორში, სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ქ. ზუგდიდში, სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ქ. თელავში, ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმი ყვარელში, ა. წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი საჩხერის რაიონში, ვ. მაიაკოვსკის სახელმწიფო მუზეუმი მაიაკოვსკის რაიონში, ვაჟა-ფშაველას სახლი-მუზეუმი დუშეთის რაიონში, საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ქ. თბილისში, თბილისის, ქუთაისისა და ზუგდიდის პოლიტიკურ-საგანმანათლებლო სასწავლებლები, პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობის ცენტრალური მეთოდური კაბინეტი ქ. თბილისში, ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი ქ. თბილისში, პოლიტსაგანმანათლებლო მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კაბინეტი ქ. თბილისში და ცენტრალური სალექციო ბიურო ქ. თბილისში.

გარდა ამისა, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის განმგებლობაში გადაცემულია: 74 საქალაქო ბიბლიოთეკა, 38 ბიბლიოთეკა რაიონულ ცენტრებში, 28 საბავშვო ბიბლიოთეკა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, 61 სასოფლო ბიბლიოთეკა, 7 მხარეთმცოდნეობის მუზეუმი რაიონულ ცენტრებში, 75 კულტურის სახლი ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, 18 საქალაქო კლუბი, 556 სასოფლო კლუბი, 669 ქოხ-სამკითხველო, 17 კულტურისა და დასვენების პარკი ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში და 28 სალექციო ბიურო ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში.

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
### საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი
### ამხ. ვ. ა. ხატიაშვილის საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ვალერიან ალექსის-ძე ხატიაშვილი საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარედ.

**საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე**
**ვ. ბაქრაძე**

**საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი**
**ს. როსტიაშვილი**

1945 წ. 28 დეკემბერი.
თბილისი

### პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოში
## სტუდენტთა საზამთრო არდადეგები

უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებისა და ტექნიკუმების მოსწავლეთა საზამთრო არდადეგები დაწესებულია 1946 წლის 28 იანვრიდან 10 თებერვლამდე.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ წინადადება მისცა პროფკავშირულ ორგანიზაციებს არდადეგების დღეებში ჩაატარონ კულტ-მასობრივი ღონისძიებანი, სასპორტო შეჯიბრებანი თხილამურში, ციგურაობასა და გიმნასტიკაში. ამ დროისათვის სტუდენტებს დაეთმობათ ყველა სასპორტო ნაგებობა.

იმ პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტებს, რომელთაც დასასვენებელი სახლები აქვთ, დაევალათ უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებისა და ტექნიკუმთა მოსწავლეებისათვის გამოჰყონ საგზურები, კურორტების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ცენტრალურ სამმართველოს — გამოჰყოს 5.380 საგზური პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს დასასვენებელ სახლებში და 220 საგზური მოსკოვის ახლო მდებარე სანატორიუმებში. (საკდესი).

## მზრუნველობა სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის

**მოლოტოვი**, 25 დეკემბერი. (საკდესი). ომიანობის წლებში მოლოტოვის ოლქის სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს მიეცათ 300 მილიონ მანეთზე მეტი დახმარება და პენსია. გარდა ფულადი დახმარებისა, წითელი არმიის მეომართა ოჯახებს, რომლებიც სასოფლო ადგილებში ცხოვრობენ, სამუდამო სარგებლობისათვის მიეცათ 42 ათასი სული მსხვილფეხა და წვრილფეხა რქიანი საქონელი.

ამჟამად ოლქში გაჩაღებულია ფართო მოძრაობა დაღუპული ფრონტელების ოჯახებზე მეურვეობის დასაწესებლად. ბევრი კოლმეურნეობა და სამრეწველო საწარმო ამჟამად დაღუპული მეომრების ოჯახთა მეურვედ ითვლება.

## ჯონ პრისტლი საქართველოში მოგზაურობის შესახებ

ამ ცოტა ხნის წინათ ლონდონის გაზეთ „სანდი ექსპრესში" დაიბეჭდა ინგლისელი მწერლის ჯონ პრისტლის მესამე სტატია საბჭოთა კავშირის შესახებ. ამ წერილში იგი ეხება საქართველოში თავისი მოგზაურობის დროს მიღებულ შთაბეჭდილებებსაც.

პრისტლი ქებით იხსენიებს საქართველოს პეიზაჟის სილამაზეს და აცხადებს, რომ მას ყველგან საოცარი სტუმართმოყვარეობით ხვდებოდნენ. იგი სწერს ქართველთა სიცოცხლის ხანგრძლივობაზე და შენიშნავს, ბევრ მათგანთან შედარებით „ბერნარდ შოუ მხოლოდ ჭაბუკიაო".

პრისტლი ძალიან მაღალ შეფასებას აძლევს სუხიშვილის ქართული ცეკვის ანსამბლს, რომელიც მან სოხუმში ნახა: „მე ამ განსაკუთრებული ქართული დასის დიდი თაყვანისმცემელი გავხდი და გადავსწყვიტე, რომ ისინი უნდა ესტუმრონ ლონდონს და მოაჯადოონ ჩვენი მაყურებელნი,—იმდენად ამაღლვებელია მოსრიალე ქალიშვილთა სანახაობა, იმდენად ენერგიულია ვაჟთა ცეკვა. მე ჯერ კიდევ მესმის მელოდია, რომლის ჰანგზეც ისინი ცეკვავენ, ჯერ კიდევ ვხედავ რომანტიკულ ფიგურებს, რომელნიც თითქოს სიზმარში მოძრაობენ".

პრისტლი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა შეინარჩუნოს ნაციონალური კულტურა. იგი ამბობს, რომ საბჭოთა კავშირი მასში მოსახლე ხალხების მიმართ იჩენს სიბრძნეს, რომლის გამოჩენა არასოდეს არ შეუძლიათ ძველ საიმპერიო რეჟიმებს. „საბჭოთა კავშირი განზრახ ახალისებს და ხელს უწყობს ტრადიციული ნაციონალური კულტურის განვითარებას და თვალუწვდენი საბჭოთა ქვეყანა ბრწყინავს და გუგუნებს თავისი სიმღერებითა და ცეკვით".

ამ სიტყვებით ამთავრებს პრისტლი თავის სტატიას. (საქდესი).

# ჩვენი ქვეყანა ემზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის

## ლენინის შახტმა წლიური გეგმა შეასრულა

ტყიბული („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის კოლექტივმა 24 დეკემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა ქვანახშირის ამოღების დეკემბრის გეგმა.

საწარმოო დავალებათა შესრულებაში დაწინაურდნენ ნ. ცერცვაძის, გ. ფანჩულიძის და გ. ჩიტიშვილის უბანთა კოლექტივები. განსაკუთრებით ისახელეს თავი ამ უბნების იმ ცვლებმა, რომლებსაც ვ. ბუცხრიკიძე, დ. კანდელაკი, ქ. ობოლაძე და გ. გიორგობიანი ხელმძღვანელობენ. გ. ჩიტიშვილის უბნის კოლექტივმა ვადამდე შვიდი დღით ადრე შეასრულა ქვანახშირის მოპოვების წლიური გეგმა, ხოლო გ. ფანჩულიძის უბნის კოლექტივმა, რომელმაც წლიური გეგმა 10 თვეში შეასრულა, დეკემბერში დამატებით მოგვცა ათას ტონამდე ქვანახშირი.

დ. ქათამაძე

## ტელეფონისა და რადიოს ქსელი ფართოვდება

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო საქართველოში შეუდგა საოლქო და საუბნო საარჩევნო უბნების ცენტრებში ტელეფონის გაყვანას. დღეისათვის ტელეფონი დადგმულია ყველა საოლქო საარჩევნო უბნის ცენტრში. დამთავრებულია მათი რადიოფიკაციაც. ჩქარი ტემპით მიმდინარეობს მუშაობა საუბნო საარჩევნო კომისიების ოლქებთან ტელეფონით დასაკავშირებლად. უკანასკნელი ცნობებით, სატელეფონო კავშირი უკვე არის 1.570 საარჩევნო უბანთან და რადიოფიცირებულია 1.508 უბანი.

მიღებულია ზომები საქართველოს სსრ მთაგორიან რაიონებთან განუწყვეტელი კავშირის დასამყარებლად. ამჟამად რადიოთი, ტელეფონით და ტელეგრაფით დაკავშირებულია თბილისი—მესტია, თბილისი—ქლუხორი, მესტია—იალბუზი. მზად არის და ადგილზე იგზავნება აპარატურა სოხუმფსხუს რადიოკავშირის უზრუნველსაყოფად.

## დიასახლისებთან მომუშავე აგიტატორთა სემინარები

საქართველოს კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის პარტკაბინეტი (გამგე შ. ჯობავა) დიასახლისებთან მომუშავე აგიტატორებისათვის სისტემატურად მართავს სემინარებს. პირველ სემინარზე ქალაქკომის ლექტორი ამხ. ა. მიქაბერიძე აგიტატორებს ესაუბრა საბჭოთა საარჩევნო სისტემისა და საბჭოთა დემოკრატიის შესახებ. სემინარებზე აგიტატორები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთი მუშაობის გამოცდილებას.



თბილისი, სტალინის რაიონის საბჭოს აღმასკომის მუშაკები ნ. ფერაძე, ი. ფერაძე, ი. ბახტაძე, ხ. მარგველაშვილი, ვ. პანიშვილი, ი. ცომაია ასწორებენ რაიონის ამომრჩეველთა სიებს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

## სტახანოველთა სოციალისტური შეჯიბრება პროფესიების მიხედვით

### 27 დეკემბერი

**მჭედლები**

○ ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში ნ. ბორზუჩენკომ გეგმა შეასრულა 506 პროცენტით, ა. რომელაშვილმა—333 პროცენტით, მ. აივაზოვმა—405 პროცენტით და ბროვჩენკომ—370 პროცენტით.

**ხარატები**

○ კიროვის სახელობის ქარხანაში ს. ბარდაკოვმა გეგმა შეასრულა 510 პროცენტით, ასტახოვმა — 444 პროცენტით, ვ. კანიგინმა—375 პროცენტით და ს. ზამულამ—610 პროცენტით.

**მექვაბეები**

○ სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში მ. გეწაძის ბრიგადამ გეგმა შეასრულა 475 პროცენტით, ი. ბაბაევის ბრიგადამ—410 პროცენტით, ე. პილიპჩუკის ბრიგადამ—367 პროცენტით, ვ. ბორისოვის ბრიგადამ—293 პროცენტით, შ. კასრაძის ბრიგადამ—250 პროცენტით და ამწყობი საამქროს მექვაბემ ვ. მარგიშვილმა—571 პროცენტით.

**მეყალიბეები**

○ 26 კომისრის სახელობის ქარხანაში ი. მირზოევმა გეგმა შეასრულა 1.570 პროცენტით, გ. მელაძემ—1.250 პროცენტით და დ. უსოევმა—350 პროცენტით.

**მრანდავები**

○ ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის მრანდავმა გ. პეტროსიანმა გეგმა შეასრულა 940 პროცენტით და ს. ბოლდირევმა — 440 პროცენტით.

### 28 დეკემბერი

**მჭედლები**

○ 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში ვ. კორძაძემ გეგმა შეასრულა 1070 პროცენტით, ა. არეშოვმა—375 პროცენტით.

○ სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მჭედელმა კ. ილურიძემ გეგმა შეასრულა 668 პროცენტით, ც. გამხუაშვილმა—494 პროცენტით, ვ. ხარჩილავამ—428 პროცენტით და ს. ამბარცუმიანმა—400 პროცენტით.

○ თბილისის საორთქლმავლო დეპოში ვ. პატარქალიშვილმა გეგმა შეასრულა 1.700 პროცენტით, მ. ინდიაშვილმა—443 პროცენტით, ი. ზერიაშვილმა—386 პროცენტით.

**ხარატები**

○ ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში ხარატმა ვ. ამირგულოვმა დღიური საწარმოო დავალება შეასრულა 840 პროცენტით.

**ზეინკლები**

○ თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის ზეინკლები 28 დეკემბერს დადგნენ პირველ სტახანოვურ ვახტზე. ამ დღეს მათ შემდეგი მაჩვენებლები მოგვცეს: ი. სისოევმა გეგმა შეასრულა 800 პროცენტით, სტრელეცკიმ—750 პროცენტით, ს. სიდამონიძემ—560 პროცენტით, ი. ზალესკიმ—400 პროცენტით და ა. მკრტიჩიანმა—220 პროცენტით.

## საღამო მეტალურგთა აგიტპუნქტში

ზამთრის საღამოა. ყინავს. ზესტაფონელ მეტალურგთა აგიტპუნქტი კი მაინც ხალხით არის სავსე. მოსულან: აგიტატორები თამარ ბურჯანაძე, ცაცა ბიბილური, ნ. ღვანიძე; ახალგაზრდა ამომრჩევლები ლუბა ვეფხვაძე, თინა ფერაძე, რეზო ორჯონიკიძე; ქარხნის ცნობილი მდნობელები ამხ. ხუჯაძე, ჭანტურიძე, მაჩიტიძე, ბოჭორიშვილი, ტალახაძე, ვარდოსანიძე...

აგიტატორ თამარ ბურჯანაძეს თან მოუყვანია დიასახლისები. იგი მათ აცნობს საარჩევნო ბიულეტენებს. ომგადახდილი აგიტატორები ვ. ბიბილაშვილი და ა. შესტაკი ათვალიერებენ ალბომს, რომელშიც მოთავსებულია პრესაში გამოქვეყნებული სტატიები და კონსულტაციები. აგიტატორმა ამხ. შესტაკმა ამ დღეებში დიასახლისებთან საუბარი ჩაატარა, ელაპარაკა სტალინურ საარჩევნო კანონზე, მის უპირატესობაზე, ქალთა უფლებებზე. საუბრის დამთავრების შემდეგ აგიტატორმა დიასახლისებს მოასმენინა პატეფონის ფირფიტაზე ჩაწერილი მოხსენება ამხანაგ სტალინისა „სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ". აგიტპუნქტში ამხ. შესტაკმა ამხანაგებს უამბო ამის შესახებ, ურჩია მათაც მოაწყონ ამხანაგ სტალინის მოხსენების კოლექტიური მოსმენა.

ახალგაზრდა ამომრჩევლები საარჩევნო ლიტერატურის გამოფენას ათვალიერებენ, ეცნობიან არჩევნების დებულებას, კონსტიტუციას, ამხანაგ სტალინის გამოსვლებს.

აგიტპუნქტში მოსულთ ახსნა-განმარტებას აძლევენ გამგე გ. არევაძე და ლექტორი გ. ფაშალიშვილი. ისინი საუბარში იწვევენ ახალგაზრდა ამომრჩევლებს, უხსნიან გაუგებარ საკითხებს, კონსულტაციას უწევენ აგიტატორებს, ესაუბრებიან დიასახლისებს...

სადნობი საამქროს ახალგაზრდა ხარატი შოთა ჩუბინიძე კითხულობს, რაში მდგომარეობს პირდაპირი არჩევნები, შოფერს ამხ. თხელიძეს აინტერესებს, რა განსხვავებაა საბჭოთა და კაპიტალისტური ქვეყნების საარჩევნო სისტემებს შორის; მესამე ახალგაზრდას შემოაქვს შეკითხვა: როგორ მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას მატარებელში მყოფი მგზავრები. ახალგაზრდები ნათელ, გარკვეულ პასუხებს იღებენ.

ასეა აქ ყოველ საღამოს. აგიტპუნქტში მიდიან მეტალურგები, იღებენ კონსულტაციას, ეცნობიან სტალინურ საარჩევნო კანონს. აქვე ეწყობა აგიტატორთა სემინარი. კონსულტანტებად მცოდნე ადამიანები არიან გამოყოფილი. ესენი არიან ინჟინერ-მეტალურგები გ. სიორიძე, მ. რაზმაძე, ინჟინერ-მექანიკოსები ლ. თუთარაშვილი და კ. ჯულელი, ინჟინერი-ელექტრიკოსი შ. ქლიბაძე და ინჟინერი-მშენებელი ვ. ქლიბაძე.

აგიტპუნქტში ერთ კარგ საქმესაც აკეთებენ. ამ დღეებში გამოსვლას იწყებს ათდღიური კედლის გაზეთი „ამომრჩევლის ხმა". პუნქტის საქმიანობა დღითიდღე მრავალფეროვანი ხდება.

მეტალურგთა აგიტპუნქტის კარი ღიაა ამომრჩევლებისათვის...

პ. ჩიოკაძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

## სამტრედიელმა მჭედლებმა მიჰბაძეს თბილისელებს

სამტრედია („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). სამტრედიელ მჭედლებში დიდი ინტერესი გამოიწვია თბილისის ლითონდამმუშავებელ საწარმოთა მჭედლების ინიციატივამ პროფესიის მიხედვით საქალაქო პირველობისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

აქაურ მჭედელთა შეჯიბრების ინიციატორებად გამოვიდნენ საორთქლმავლო და სავაგონო დეპოების მჭედლები. 25 დეკემბერს საორთქლმავლო დეპოს მჭედელმა ამხ. დაშევსკიმ დღის დავალება 785 პროცენტით შეასრულა. იმავე დღეს სავაგონო დეპოს სტახანოველმა მჭედელმა ამხ. კოხრეიძემ გეგმა 881 პროცენტით გაანაღდა.

## პირობას ასრულებენ

ფოთის საწარმოები, რომლებიც მომავალი არჩევნების აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ, წარმატებით ასრულებენ, ნაკისრ ვალდებულებებს.

ფოთის მაცივარმა (დირექტორი ვ. ჯოჯიეშვილი) წლიური საწარმოო დავალება 127,2 პროცენტით შეასრულა.

ნავსადგურის მეორე საწარმოო რაიონმა (უფროსი ს. გუდავაძე) 1945 წლის დავალება თერთმეტ თვეში 119,6 პროცენტით გაანაღდა.

## მათი წარმატებანი

ნაყოფიერად მუშაობენ ახალსოფლის მტს-ის მუშაკები (დირექტორი ამხ. კ. აბალაკი, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ლ. უბილავა). მტს-მა წლიური საწარმოო გეგმა ვადამდე 125 პროცენტით შეასრულა, ამასთან 23.950 კილოგრამი საწვავი დაზოგა.

წარმატებით მიმდინარეობს ტრაქტორებისა და მისაბმელი მანქანების რემონტი. სარემონტო ბრიგადებს შორის ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. მტს-მა ტრაქტორების რემონტის მეოთხე კვარტლის გეგმა 225 პროცენტით შეასრულა. რემონტზე განსაკუთრებით კარგად იმუშავეს გ. მარღიშვილის, დ. ბატონისაშვილისა და ა. მაზანაშვილის სარემონტო ბრიგადებმა. კრასნოდარის მხარის ნოვოტიტაროვსკაიას რაიონის სტარო-მიშასტოვის მტს-ის კოლექტივის მოწოდების პასუხად აქ ახალი ძალით გაჩაღდა შეჯიბრება. მტს-მა ვალდებულება იკისრა ტრაქტორებისა და მისაბმელი ინვენტარის რემონტის გეგმა ორი თვით ადრე—1 იანვრისათვის შეასრულოს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით საგიტაციო მუშაობა გაცხოველდა. აგიტატორები ლომიური და ანდრონიკაშვილი ბეჯითად ასწავლიან ამომრჩევლებს საარჩევნო დებულებას. მეშვიდე სატრაქტორო ბრიგადის აგიტატორი ც. ლომოური ახალგაზრდა ამომრჩევლებს ეხმარება საარჩევნო კანონის შესწავლაში.

---

ვამოწმებთ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას

## როგორ გაანაღდეს პირობა ლაგოდეხელებმა

ლაგოდეხის რაიონის მშრომელები გორელ კოლმეურნეთა მოწოდების პასუხად გაზაფხულზე ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მათ სერიოზული ვალდებულებანი იკისრეს.

როგორ გაანაღდეს ლაგოდეხელებმა პირობა?

**თავთავიან მარცვლეულ კულტურებს** რაიონში 10.830 ჰექტარი უჭირავს. კოლმეურნეებმა წელს ნიადაგის განაყოფიერებას დიდი ყურადღება მიაქციეს: მინდვრებში შეტანილია 4.580 ცენტნერი ნაცარი, 2.450 ცენტნერი ქათმის ნაკელი, 13.200 ტონა პირუტყვის ნაკელი. ბევრგან ყანები დროულად და კარგად დაამუშავეს. მოსავალიც უხვი მოიყვანეს. მაგალითად, სოფელ თამარიანის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გ. კოროხაშვილი) საშუალოდ ჰექტარზე 15,4 ცენტნერი ხორბალი მოიწია, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12,5 ცენტნერისა. სოფელ ცოდნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში ჰექტარზე 13 ცენტნერი მარცვლეული მიიღეს, ნაინდროვალის ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ე. მარიევსკი)—18,4 ცენტნერი. ასევე კარგი მოსავალი მიიღეს სოფელ რაჭისუბნის კიკნაველის სახელობის კოლმეურნეობამ, სოფელ შრომის კოლმეურნეობა „შრომამ", იმავე სოფლის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობამ.

მაგრამ საერთოდ რაიონმა მარცვლეულის მოსავლიანობის გადიდების დარგში ნაკისრი ვალდებულება ვერ შეასრულა: ჰექტარზე მიღებულია 8,42 ცენტნერი პურეული, ნაცვლად შეჯიბრებით ნაკისრი 12 ცენტნერისა. მართალია ამინდი წელს არახელსაყრელი იყო და ამან ერთგვარი როლი ითამაშა, მაგრამ ეს არ ხსნის ყველაფერს. მთელი რიგი კოლმეურნეობები სათანადოთ ვერ მუშაობდნენ. მაგალითად, სოფელ არეშფერანის „ზარია ვოსტოკა" სახელობის კოლმეურნეობას დათესილი ჰქონდა 220 ჰექტარი თავთავიანი კულტურები. შეჯიბრებაში ჩაბმისას კოლმეურნეობამ პირობა დადო, რომ მაღალ მოსავალს მოიყვანდა. სინამდვილეში კი დასთესა უხარისხო თესლი, ნაკვეთებში სასუქები არ შეიტანა, დროულად არ გათოხნა. ამიტომ საშუალოდ ჰექტარზე 3,1 ცენტნერი ხორბალი მიიღო. ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჩ. ჯიოევი მუშაობის ჩაშლისათვის კოლმეურნეთა საერთო კრებამ მოხსნა, მაგრამ გვიან მიღებულმა ღონისძიებამ საქმეს ვერ უშველა. ასეთივე მდგომარეობაა სოფელ ბაისუბნის XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე მხოლოდ 3,6 ცენტნერს შეადგენს.

**თამბაქო** რაიონში ერთ-ერთი ძირითადი კულტურაა. მას 3.300 ჰექტარი უჭირავს. მრავალმა კოლმეურნეობამ კარგად მოუარა თამბაქოს და კარგი მოსავალიც მიიღო.

სოფელ შრომის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობამ საუკეთესოდ მოუარა 90 ჰექტარ თამბაქოს პლანტაციას. კოლმეურნეობას გეგმით სახელმწიფოსათვის უნდა ჩაებარებინა 81 ტონა თამბაქო; 22 დეკემბრისათვის უკვე ჩაბარებული იყო 83 ტონა. ჩაბარებას აგრძელებენ. ჰექტარზე საშუალოდ აქ 14 ცენტნერი თამბაქო მიიღეს. უხვი მოსავლის მოყვანით სახელი გაითქვა მეხუთე ბრიგადის პირველმა რგოლმა, რომელსაც ტონსია ლომიძე ხელმძღვანელობს. რგოლმა უკვე ჩააბარა 9 ტონა და 700 კილოგრამი თამბაქო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5 ტონისა. მეხუთე ბრიგადამ (ბრიგადირი ს. ბეჟაშვილი) 16 ტონისა და 200 კილოგრამის ნაცვლად სახელმწიფოს 22 ტონაზე მეტი თამბაქო ჩააბარა.

ნაკისრი ვალდებულება შეასრულა სოფელ შრომის კოლმეურნეობა „შრომამ". სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება მოიპოვა მარო ზავრაშვილის პირველმა რგოლმა. მერგოლეურმა ზავრაშვილმა გულმოდგინედ მოუარა თამბაქოს. ის პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდა რგოლის წევრებს. დღიური ნორმით გათვალისწინებული 1.000 კვადრატული მეტრის ნაცვლად რგავდა 2.500 კვადრატულ მეტრს, თოხნიდა 1.300 კვადრატულ მეტრს, ნაცვლად 700 კვადრატული მეტრისა, ალების ნორმას 200 პროცენტით ასრულებდა. წარმატებები მოიპოვეს ნინო მაზიაშვილისა და გ. მენთესაშვილის რგოლებმაც.

კარგად იმუშავეს სოფელ ცოდნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეთამბაქოეებმაც. მარო ტურიაშვილის რგოლმა გეგმის გადაჭარბებით ჩააბარა 2 ტონა თამბაქო. მესამე ბრიგადაში წითელარმიელის ცოლმა მერგოლეურმა სონა ნატროშვილმა გეგმა 150 პროცენტით შეასრულა.

სოფელ ჰაბუკიანის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობამ თამბაქოს ჩაბარების გეგმა 150 პროცენტით გაანაღდა.

მაგრამ ყველა კოლმეურნეობა, ბრიგადა და რგოლი ასე როდი მუშაობდა. სოფელ ვაშლოვანის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე გ. გოჩელაშვილი) პირობა არ შეუსრულებია. თამბაქოს საშუალო მოსავლიანობა აქ 8 ცენტნერს შეადგენს, ვალდებულება კი 18 ცენტნერს ითვალისწინებდა. პლანტაციებში სასუქი არ შეუტანიათ. თამბაქო ოთხჯერ უნდა გაეთოხნათ, ფაქტიურად კი ორჯერ გათოხნეს. ამ სამარცხვინო ჩამორჩენის მიზეზია შრომის მოუწესრიგებლობა. კოლმეურნენი სამუშაოზე დილით გვიან გადიან, საღამოს ადრე ბრუნდებიან შინ. სათბურებში თამბაქოს თესვის სამუშაოები ჩამორჩენილია: უნდა დაითესოს 700 კვადრატული მეტრი, 23 დეკემბრისათვის დათესილი იყო მხოლოდ 300 კვადრატული მეტრი. შრომის მოუწესრიგებლობამ გამოიწვია ის, რომ 6 ჰექტარზე საქონლის საკვები ჩალა მინდვრად დასტოვეს.

ცუდად მუშაობს სოფელ ვარდისუბნის მაქსიმ გორკის სახელობის კოლმეურნეობა. იგი ვერ ასრულებს თამბაქოს ჩაბარების გეგმას, იმიტომ, რომ ცუდად დაამუშავა პლანტაციები. არის თამბაქოს დანაკარგი. ფარდულები შემოუკავებელი და დაუცავია, სახურავში წვიმა ჩამოდის. ამ კოლმეურნეობის პირველი ბრიგადა გადაჭარბებით ასრულებს თამბაქოს ჩაბარების გეგმას, ხოლო მის გვერდით არის მეხუთე და მესამე ბრიგადები, რომლებიც სამარცხვინოდ ჩამორჩებიან. ცხადია, მიზეზი შრომის მოუწესრიგებლობაა. კოლმეურნეობის მუშაობაზე უარყოფით გავლენას ახდენს თავმჯდომარეთა ხშირი ცვლაც.

სახელმწიფოსათვის მაღალხარისხიანი თამბაქოს ჩაბარების გეგმის შესრულება დიდად არის დამოკიდებული ლაგოდეხის საფერმენტაციო ქარხანაზე. შარშან ეს ქარხანა ცუდად მუშაობდა. ამას წინათ ქარხანას ჩაუდგა სათავეში წითელი არმიიდან დემობილიზებული ვლ. გეგენავა. მუშაობას გაუმჯობესება დაეტყო. ქარხანამ წელს კალენდარული გეგმით უნდა დაამზადოს 2.315 ტონა თამბაქო, 22 დეკემბრისათვის დამზადებული იყო 2.075 ტონა. დეკემბერში მოპოვებულია თვალსაჩინო წარმატება. 20 დღეში დამზადებულია 400 ტონაზე მეტი თამბაქო. თუ ეს ტემპი შეინარჩუნეს, ქარხანა წლიურ დავალებას გადაჭარბებით შეასრულებს.

**მეცხოველეობა** ლაგოდეხის რაიონში ფართოდ არის განვითარებული. მრავალმა კოლმეურნეობამ გადამეტებით შეასრულა საქონლის მომრავლების 1945 წლის გეგმა. მაგრამ, საერთოდ რაიონში 1 დეკემბრის ცნობებით მეცხოველეობის განვითარების გეგმის შესრულება არადამაკმაყოფილებელია. მსხვილფეხა რქიანი საქონლის საერთო სულადობის გეგმა თუმცა შესრულდა, მაგრამ სახეების მიხედვით ჩამორჩენაა. ძროხა და ფურ-კამეჩი 1.924 სული ჰყავთ, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.000 სულისა. მუშახარი და ხარ-კამეჩი 4.196 სული ჰყავთ, გეგმა კი 4.600-ს ითვალისწინებს, შესრულებული არ არის ცხენის, ფრინველის, ფუტკრის მოშენების გეგმები. შეუსრულებელია მეცხოველეობის პროდუქტიულობის დავალებაც. რაიონმა გადამეტებით შეასრულა მხოლოდ ცხვრის, თხისა და ღორის სულადობის გეგმები.

**მტს-მა** წელს ნაყოფიერად იმუშავა, საგაზაფხულოდ მოხნა 6.545 ჰექტარი, ნაცვლად გათვალისწინებული 4.700-სა. კომბაინებით მოსავალი გეგმით გათვალისწინებული 1.200 ჰექტარის ნაცვლად აიღო 1.335 ჰექტარზე. გადამეტებით შესრულდა საშემოდგომო მზრალად ხვნისა და თესვის გეგმები. პ. ბოხაშვილის ბრიგადამ 1.720 ჰექტარი მოხნა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.264 ჰექტარისა. გადაჭარბებით შეასრულეს დავალება ალ. შიხაშვილისა და ალ. მაგაევის სატრაქტორო ბრიგადებმა. მოსავალი უდანაკარგოდ აიღეს კომბაინერებმა ი. გრიგალაშვილმა, პ. პოლტავსკიმ, ს. ციბულსკიმ და სხვებმა. კარგად მუშაობდნენ ტრაქტორისტები ვ. შევჩენკო, მ. მერმანიშვილი, პ. ვიზერი.

მტს-ში გაჩაღებულია ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღ-მანქანების რემონტი. იბრძვიან სტარო-ბეშესტოვის ტრაქტორისტების მიმართვის პასუხად ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად. ერთმანეთს ეჯიბრებიან ხარატები, მჭედლები, დურგლები, ტრაქტორისტები. მეოთხე კვარტალში გეგმით უნდა შეკეთდეს 18 ტრაქტორი, 22 დეკემბრისათვის შეკეთებული იყო 13. 9 გუთნის ნაცვლად უკვე შეაკეთეს 12, ხოლო ორი სათესი მანქანის ნაცვლად—3. შეკეთებულია აგრეთვე 2 სალეწი. სახელოსნოში კარგი მუშაობით გამოირჩევა კომკავშირელი ხარატი შ. გელაშვილი. მას ბევრად არ ჩამოუვარდება ახალგაზრდა ჩამომსხმელი ვ. ჟურავლიოვი. პარტიის წევრი რ. სეფიაშვილი, დემობილიზებული ორდენოსანი მჭედელი ივ. გარაშენკო, ს. ლაბორი, სახელოსნოს გამგე ლ. კალიშუკი, მოხუცი მჭედელი დ. ბატიცკი, მოტორისტი ი. კლიმენკო — აი მტს-ის სახელოვანი ადამიანები, რომლებიც დაუღალავ შრომაში სჭედენ წარმატებას.

მტს-ს მეტი წარმატება ექნებოდა, ხელშემშლელი მიზეზებიც რომ არ ყოფილიყო. აქ აკლიათ ისეთი სათადარიგო ნაწილები, რომლებიც ადგილზე ვერ დამზადდება. საქართველოს „სოფლმომარაგება" მტს-ს ცუდად ამარაგებს ნახშირით. 16 ტონის ნაცვლად ლაგოდეხის მტს-მა 4,5 ტონა ნახშირი მიიღო. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს.

**სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დამზადების** დარგში ნაკისრი ვალდებულება შესრულებულია. მარცვლეულის ჩაბარების წლიური გეგმა განაღდებულია 103 პროცენტით, ხორცისა — 105 პროცენტით, ყველისა—104,4 პროცენტით, კვერცხისა—100 პროცენტით, მატყლისა—100 პროცენტით, გადაჭარბებით შესრულდა ტყავეულის, კარტოფილის, თივისა და მზესუმზირას დამზადებათა გეგმები.

**რაიონის მეაბრეშუმეებმა** პარკის დამზადების გეგმა 108,5 პროცენტით გაანაღდეს.

**ყურძნის** საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე 35-40 ცენტნერს მიაღწია. შეუსრულებელია გერანის დამზადების გეგმა.

* * *

ლაგოდეხელ კოლმეურნეებს შესაძლებლობა აქვთ სწრაფად გამოასწორონ არსებული ნაკლოვანებანი. პირველ რიგში მათ უნდა მოაწყონ თამბაქოს მოსავლის დაცვა, არ დაჰკარგონ არც ერთი კილოგრამი თამბაქო, მთელი ძალები დარაზმონ თამბაქოს დამზადების წლიური გეგმის შესასრულებლად.

ამჟამად მთელი ჩვენი ქვეყანა სასიხარულო დღეებს განიცდის. მშრომელები ემზადებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. ყველა ცდილობს ახალი წარმატებით შეხვდეს ამ შესანიშნავ თარიღს. ეჭვი არ არის, ლაგოდეხელები ამ საყოველთაო აღფრთოვანების დღეებში გააძლიერებენ მუშაობას, ბოლომდე მოიხდიან თავიანთ ვალს სამშობლოს წინაშე.

ნ. ჯანჯღავა

„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

# სასამართლო პროცესი ორიოლის, ბრიანსკისა და ბობრუისკის ოლქებში გერმანელ ფაშისტთა მხეცობის საქმის გამო

## 26 დეკემბრის დილის სხდომა

საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა ბრალდებულ **გამანის** დაკითხვა, რაც დილის სხდომის ბოლოს დაიწყო.

ბრალდებული ყოველნაირად ცდილობდა თავი წარმოესახა „პატარა კაცად", დაეფარა თავისი დანაშაულებრივი მოქმედება გერმანიის მე-2 სატანკო არმიის სარდლის გენერალ-პოლკოვნიკ შმიდტის ბრძანებებით. უფრო მეტიც, გამანი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ იგი შეგნებულად არ ასრულებდა ზემდგომი სარდლობის მთელ რიგ ბრძანებებს საბჭოთა მოქალაქეების დახოცვისა და საბჭოთა ქალაქების დანგრევის შესახებ.

მაგრამ ფაქტები სხვას მეტყველებენ. 1942 წლის 8 ივლისიდან 1943 წლის 4 აგვისტომდე, იმ პერიოდში, როდესაც გამანი ქალაქ ორიოლის კომენდანტი იყო, ორიოლის საპატიმროში და სამხედრო ტყვეთა ბანაკში დახვრიტეს 5 ათასამდე საბჭოთა მოქალაქე, დახოცეს 72 ავადმყოფი, რომლებიც ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იყვნენ.

დოკუმენტები ფაშისტ გენერალს ამხილებენ იმაშიც, რომ მისი ბრძანებით საბჭოთა მოქალაქეებს მიერეკებოდნენ საკატორღო სამუშაოებზე, ხვრეტდნენ დაბინდების შემდეგ ქუჩაში გამოსვლის დროს, სახრჩობელაზე ჰგზავნიდნენ „ცუდი მუშაობისათვის".

ორიოლში მუშათა ჯგუფი მოწამლულ იქნა იპრიტით. როგორც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზით დადგენილია, ეს საშინელი დანაშაული ჩადენილ იქნა ცოცხალ ადამიანებზე მომწამლველ ნივთიერებათა მოქმედების „შესწავლის" მიზნით. 1943 წელს მარინა გორკის ბანაკში მშობლებისათვის ძალად წართმეულ ბავშვთა ჯგუფს სისხლს ართმევდნენ გერმანელ დაჭრილ სამხედრო მოსამსახურეთათვის გადასასხმელად. გამანის ბრძანებით ებრაელთა სასაფლაოზე სოფელ ილოვაკის მახლობლად დახვრიტეს ბობრუისკიდან მოყვანილი დაპატიმრებული საბჭოთა მოქალაქეები. სასამართლო გამოძიების მსვლელობაში გამანი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ მშვიდობიან საბჭოთა მოქალაქეებს იყენებდნენ აგრეთვე ნაღმების საძებნად, რისი შედეგიც იყო სიკვდილი და დამახინჯება.

შემდეგ დაჰკითხეს ბრალდებული **ბერნჰარდი**. მან აჩვენა, რომ საბჭოთა მოქალაქეებს მართლაც იყენებდნენ გზების გასანაღმავად.

დოკუმენტები ამხილებენ ბერნჰარდს იმაში, რომ იგი ხელმძღვანელობდა სადამსჯელო ექსპედიციებს, მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქეების მოსპობას, სოფლების გადაწვას.

პოჩეპში, ლოკოტში, ბრიანსკის ოლქის ჟუკოვსკისა და სხვა რაიონებში ბერნჰარდის იქ მისვლის შემდეგ გაძლიერდა საბჭოთა ადამიანების მასობრივი დახვრეტა. ბრასოვის რაიონში, რომელსაც კონტროლს უწევდა ბერნჰარდი, დახვრეტილ იქნა 5 ათასი საბჭოთა მოქალაქე. მარტო ჟუკოვსკის რაიონის კისლოვსკის სოფლსაბჭოში ცოცხლად დასწვეს 140-ზე მეტი მცხოვრები.

ბრალდებულ ბერნჰარდის დაკითხვის შემდეგ სასამართლო გადადის მოწმეთა დაკითხვაზე.

ჩვენებას პირველი იძლევა მოწმე **ვ. დ. პუშკარიოვა**.

— 1941 წლის 7 ოქტომბერს, — აჩვენებს იგი, — დაბა ნავლიაში გერმანელები შემოიჭრნენ. მაშინვე დაიწყო მასობრივი ძარცვა და დახვრეტა. ასეთივე ბედი ეწია მეზობელ სოფლებსაც. მოწმე შემდეგ ლაპარაკობს საბჭოთა სამხედრო ტყვეების დახვრეტაზე, იმაზე, რომ ფაშისტი ბანდიტები სისხლისღვრით უსწორდებოდნენ ანგარიშს სოფლებისა და დაბების მშვიდობიან მცხოვრებთ.

მოწმე პუშკარიოვას დაკითხვით მთავრდება საღამოს სხდომა.

## 27 დეკემბრის დილის სხდომა

**ბრიანსკი**, 27 დეკემბერი. (საქტასი). დილის სხდომაზე გრძელდებოდა მოწმეთა დაკითხვა. მოწმეებს თავიანთ ჩვენებაში მოჰყავთ სულ ახალ-ახალი ფაქტები საშინელი ბოროტმოქმედებისა, რასაც სჩადიოდნენ ჰიტლერელი ოკუპანტები—გერმანელთა ნაწილების სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც ბრალდებულების ბერნჰარდისა და გამანის ბრძანებებით მოქმედებდნენ.

მოწმე **ვ. ი. ხვოროსტოვი** — ბობრუისკის ოლქის სოფელ ელოვკის მცხოვრები—აჩვენებს, რომ 1941 წელს ოკუპანტები ოლქში ახორციელებდნენ საბჭოთა მოქალაქეების მასობრივ დახვრეტას. ბობრუისკის ერთ-ერთ გარეუბანში, ეგრეთწოდებული ლისიე გორის დასახლებული ადგილის რაიონში, გერმანელები თითქმის ყოველდღე ხვრეტდნენ მშვიდობიან მცხოვრებთა დიდ ჯგუფებს. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ისინი უბრძანებდნენ ცოცხლად დაემარხათ ადამიანები. მოწმემ პირადად ნახა ერთი ცოცხლადდამარხული, როდესაც იგი მძიმედ დაჭრილი ამოდიოდა ორმოდან. 1943 წლის აგვისტოში წითელი არმიის შემტევი ნაწილების მოახლოებისას გერმანელები ცდილობდნენ დაეფარათ თავიანთ ბოროტმოქმედებათა კვალი. საფლავებიდან იღებდნენ დახვრეტილი საბჭოთა მოქალაქეების გვამებს და სწვავდნენ. გვამების დაწვა ერთი თვის განმავლობაში გრძელდებოდა.

მოწმე **ვ. მ. სახაროვს** მოჰყავს ფაქტები ბრიანსკის აეროდრომის რაიონში სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივი დახვრეტისა, რაც რამდენიმე თვის განმავლობაში გრძელდებოდა. ბრიანსკიდან უკანდახევის წინ ჰიტლერელებმა გერმანიის ფაშისტურ კატორღაში გაირეკეს თითქმის მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობა, მათ შორის მოწმის ცოლი და ვაჟი. ბრიანსკიდან გაქცევის წინ გერმანელებმა ააფეთქეს სამრეწველო და კულტურული საწარმოები, საცხოვრებელი შენობები.

მოწმე **ი. ხ. სახაროვამ** სასამართლოს აჩვენა, რომ, როგორც კი გერმანელებმა ბრიანსკი დაიკავეს, სამხედრო კომენდატურამ ბრძანება გამოსცა, რომლითაც ყველა მამაკაცი 14-დან 60 წლის ასაკამდე ვალდებული იყო შრომის ბირჟაში გამოცხადებულიყო სარეგისტრაციოდ. ბირჟა ადამიანებს გზავნიდა ბანაკებში, იქიდან კი სამუშაოზე, უმთავრესად თავდაცვითი ხასიათის სამუშაოებზე — სანგრების, ტრანშეების სათხრელად და გზების შესაკეთებლად. საბჭოთა ადამიანებს ბანაკებში სცემდნენ, აწამებდნენ, ძაღლებს უსევდნენ.

მოწმე, ქალაქ ორიოლის მცხოვრები **ვ. ხ. ტოლკაჩოვა** სასამართლოს უცხადებს, რომ მან ორიოლში ნახა ბრალდებული გამანი და წაიკითხა მისი ბრძანება შრომის ბირჟაში სარეგისტრაციოდ მოსახლეობის გამოცხადების შესახებ. გამოცხადებულთ გზავნიდნენ მძიმე თავდაცვითს სამუშაოზე ან გერმანიის მონობაში მიერეკებოდნენ.

შემდეგ ჩვენებას იძლევა მოწმე **ა. მ. უხტომენკო**:

— 1944 წლის 14 იანვარს ბობრუისკის ოლქის პარიჩის რაიონის ჩვენს სოფელ ალაში მოვიდნენ გერმანიის სამხედრო ნაწილი და ჟანდარმერია, რომელნიც შემოერტყნენ სოფელს და ცეცხლი წაუკიდეს მას, ხოლო მოსახლეობას ჯგუფ-ჯგუფად ერეკებოდნენ ცეცხლწაკიდებული სახლების ეზოებში. ცეცხლიდან გაქცეულ საბჭოთა მოქალაქეებს გერმანელები ავტომატებსა და გრანატებს ესროდნენ. ჩვენს სოფელში გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა ამრიგად დახვრიტეს და ცოცხლად დასწვეს 1.558 კაცი. დაღუპულთა შორის არიან ჩემი ცოლი, ორი შვილი და ნათესავები.

მოწმეები—ყოფილი გერმანელი სამხედრო მოსამსახურეები—**ფუქსი, ბეტკე, პფაიფერი** და **კროლი** სასამართლოს აჩვენებენ, რომ გერმანიის საოკუპაციო ჯარები, რომლებიც ბრალდებულ ბერნჰარდს ემორჩილებოდნენ, „წესრიგსა და სიწყნარეს" ამყარებდნენ. იმ ნაწილმა, რომელშიც ბეტკე მსახურობდა, სულ მთლად გადასწვა 15 სოფელი და დახვრიტა ასობით მშვიდობიანი საბჭოთა ადამიანი. სადგურ პოჩეპის რაიონში იმ ბატალიონმა, რომელშიც მოწმე ფუქსი მსახურობდა, 50 მშვიდობიანი მცხოვრები შეიპყრო, რომლებიც გაგზავნილ იქნენ ბერნჰარდის შტაბში, შემდეგ კი უკვალოდ დაიკარგნენ.

ჰიტლერელთა საშინელ ბოროტმოქმედებაზე ჰყვებიან სასამართლოს მცირეწლოვანი მოწმენი 13 წლის **ივანე ფომიჩევი** და **მარიამ გარიდოვა**.

1942 წლის შემოდგომაზე ნავლიის რაიონში ჰიტლერელებმა ავტომატით დახვრიტეს 50 მშვიდობიანი მცხოვრები: ქალები, მოხუცები და ბავშვები. მხოლოდ შემთხვევით მოახერხეს გადარჩენა ერთმა მოხუცმა და სამმა მცირეწლოვანმა, მათ შორის მოწმეებმაც. მოწმე ვანია ფომიჩევი იმან გადაარჩინა, რომ ავტომატის ჯერით განგმირულმა დედამისმა თავისი სხეულით დაფარა იგი.

**თავმჯდომარე** (ბრალდებულ ბერნჰარდს მიმართავს):

— თქვენ აჩვენებდით, რომ მოქმედებდით გერმანიის სამხედრო წესდების მიხედვით. ისე არ ოპერაციები, რომელთა შესახებაც აჩვენებდნენ მოწმეები ფომიჩევი და გარიდოვა, გათვალისწინებული იყო გერმანიის არმიის სამხედრო წესდებებით?

**ბერნჰარდი**: არა.

**თავმჯდომარე**: მაშასადამე, ასეთი ოპერაციები იყო გამოხატულება გერმანიის ფაშიზმის პოლიტიკისა, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხალხის მოსპობას?

**ბერნჰარდი**: სწორედ ავრეა.

მოწმეები **ბედნიაგინი** და **ჩერნოვი**, რომლებიც გერმანელ ოკუპანტთა წინააღმდეგ იბრძოდნენ პარტიზანული რაზმების შემადგენლობაში, სასამართლოს აჩვენებენ, რომ ჰიტლერელები საბჭოთა ადამიანებს გაუსამართლებლად და გამოუძიებლად ხვრეტდნენ. ულმობლად უსწორდებოდნენ ანგარიშს ქალებსა და მოხუცებს, რომელთა ნათესავებიც „არაკეთილსაიმედოთა" რიცხვში იყვნენ ჩათვლილნი.

მოწმე **ი. ა. ანტოშინმა** თავის ჩვენებებში დახატა სურათი გერმანელების მიერ ჟუკოვსკის რაიონის დაბა ტროსნაში რვა სრულიად უდანაშაულო მასწავლებლის ჩამოხრჩობისა.

მოწმე **მ. ბ. გოლენკოვამ** სასამართლოს უამბო გერმანელ ჟანდარმთა მიერ ბრასოვის რაიონის დაბა ვორონოვ ლოგის 300-მდე მცხოვრების დახვრეტაზე.

მოწმე **ნ. ა. მარჩენკომ**—ორიოლელმა ძველმა ექიმმა და მოწმემ—ორიოლის მცხოვრებმა **ე. პ. სელიხოვა-დემიდენკომ** აჩვენეს, რომ საშინელი ტერორი ორიოლში ხორციელდებოდა გერმანიის იმ სამხედრო კომენდატურის ხელმძღვანელობით, რომელსაც ბრალდებული გამანი მეთაურობდა.

მოწმე სელიხოვა-დემიდენკოს ჩვენებით მთავრდება დილის სხდომა.

# „ნიუ-იორკ პოსტი" ფაშისტური ორგანიზაციის შესახებ იტალიაში

**ნიუ-იორკი**, 26 დეკემბერი. (საქტასი). გაზეთ „ნიუ-იორკ პოსტის" რომაელმა კორესპონდენტმა ჰილმ ინტერვიუ გამოართვა იტალიური გაზეთის „უომო კუალიუნკუეს" გამომცემელ გულიელმო ჯანინის, რომელიც ამავე სახელწოდებით არსებული პარტიის ლიდერია. ჯანინიმ აშკარად აღიარა, რომ ომის დროს მან შესაძლებლობის მაქსიმუმი გააკეთა ღერძის სახელმწიფოთა გამარჯვებისათვის. კომენტარს უკეთებს რა ჯანინის გავლენას, ჰილი სწერს:

„დღეს მუსოლინის აჩრდილი დაძრწის იტალიაში..."

ჰილის სიტყვით, ჯანინი სპეკულაციას ეწევა იტალიელი ხალხის უკმაყოფილებითა და ტანჯვით. „უომო კუალიუნკუე" თავს ესხმის ცენტრისა და მემარცხენე ჯგუფებს, მოუწოდებს, დაუყოვნებლივ შესწყდეს წმენდა ფაშისტებს შორის და „შეიქმნას დასავლეთი სამყაროს ერთიანობა".

იმის მიხედვით, რაც „უომო კუალიუნკუე" იზრდებოდა, სწერს ავტორი, გავრცელდა ცნობა, რომ გავლენიანმა, მაგრამ მიმალულმა საქმოსნებმა, რომლებსაც ეშინოდათ მემარცხენე მთავრობისა და მიწის და მრეწველობის შესაძლო სოციალიზაციისა, „უომო კუალიუნკუე" რუპორად აირჩიეს და დიდი ფულადი თანხები შესწირეს გაზეთს. არსებული ცნობებით, მთავარი მეანაბრეები იყვნენ ძმები სალვატორეე და მიქელე შალერა, რომლებიც, როგორც იუწყებიან, აფინანსებდნენ მუსოლინის ლაშქრობას რომზე და მილიონები შეიძინეს ფაშიზმის დროს.

როგორც ჰილი აღნიშნავს, ერთმა კარგად ინფორმირებულმა იტალიელმა პუბლიცისტმა განაცხადა, რომ ჯანინი ფაშისტია და რომ არალეგალურად მცხოვრები ფაშისტები სავსებით უჭერენ მხარს მის მოძრაობას. თუმცა მოკავშირეები, როგორც სჩანს, ფიქრობენ, რომ ჯანინის საქმიანობა მათ არ შეეხება, მაგრამ „ჯანინის პროპაგანდის გაცნობილ მეთვალყურეებს" ფრიად საშიშრად მიაჩნიათ იგი, ხოლო „უომო კუალიუნკუეს" პარტიის შექმნას განიხილავენ, როგორც ფაშიზმის აღორძინებას, მაგრამ ისინი ამჟამად წინააღმდეგი არიან იმისა, რომ მოიმოქმედონ რაიმე ისეთი, რაც ჯანინის შეეხება, გარდა იმისა, რომ საკმაო ქაღალდით მოამარაგონ იგი.

# მდგომარეობა ირანის აზერბაიჯანში

**თეირანი**, 26 დეკემბერი. (საქტასი). თავრიზის გაზეთი „აზერბაიჯანი" სტატიაში სათაურით „მსოფლიომ უნდა სცნოს ჩვენი ავტონომია" სწერს: „ჩვენს დროში წარმოუდგენელია, რომ კვლავ მონობის ბორკილებში იყოლიონ ხუთმილიონიანი აზერბაიჯანელი ხალხი. ჩვენ გვსურს ჩვენი სახლის ბატონ-პატრონი ვიყოთ, ისე, რომ არ დაირღვეს ირანის დამოუკიდებლობა და მთლიანობა...

ამჟამად ირანის აზერბაიჯანში გაჩაღებული ეროვნული მოძრაობა საყოველთაო სახალხო მოძრაობაა. ჩვენ ავტონომია დავამყარეთ ჩვენი საუკეთესო შვილების თავდადებისა და გმირობის მეოხებით და დარწმუნებული ვართ, რომ ეროვნული მთავრობა შეინარჩუნებს ამ მონაპოვარს. ამაში მას დაეხმარება მთელი აზერბაიჯანელი ხალხი".

**თეირანი**, 25 დეკემბერი. (საქტასი). თეირანის გაზეთ „ნაბარდის" ცნობით, ირანის აზერბაიჯანის ეროვნული მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრმა ამ გაზეთის კორესპონდენტის კითხვაზე, მიიღებენ თუ არა სამსახურში ირანის სხვა რაიონებში მცხოვრებ აზერბაიჯანელებსო, უპასუხა, რომ სახალხო განათლებისა და კულტურის დარგში მუშაობის გასაჩაღებლად ირანის აზერბაიჯანს დიდად ესაჭიროება გონებრივი შრომის ადამიანები და ამიტომ მათ დიდი ხალისით მივიღებთო.

# ირანის აზერბაიჯანის ეროვნული მეჯლისის სხდომა

**თეირანი**, 26 დეკემბერი. (საქტასი). როგორც თავრიზიდან იუწყებიან, შაბესტარის თავმჯდომარეობით შესდგა ირანის აზერბაიჯანის მეჯლისის მორიგი სხდომა.

სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა პიშევარიმ გააკეთა მოკლე ანგარიში ეროვნული მთავრობის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. ამნისტიის შესახებ კანონპროექტი შეიტანა შინაგან საქმეთა მინისტრმა დოქტორმა ჯავიდმა. მეჯლისმა დაამტკიცა კანონი პოლიტიკური მოღვაწეობისათვის ყველა დაპატიმრებულთა, აგრეთვე იმ პირთა ამნისტიის შესახებ, რომლებსაც სისხლის სამართლის დანაშაულისათვის მისჯილი აქვთ ერთ წლამდე პატიმრობა. იმათ, ვისაც ამ ვადაზე მეტი ხანი აქვთ მისჯილი, სასჯელი სანახევროდ უმცირდებათ. იმ პირთათვის, რომელთაც მისჯილი აქვთ სამუდამო პატიმრობა წესდება 15 წლის ვადა.

მეჯლისმა დაამტკიცა კანონი სახალხო ლაშქრის ნაწილების, აგრეთვე მოხალისეთაგან ახალი ნაწილების შედგენის შესახებ.

# ფრანგი სოციალისტების გადაწყვეტილება მემარცხენე პარტიების დელეგაციის შემადგენლობიდან გამოსვლის შესახებ

**პარიზი**, 27 დეკემბერი. (საქტასი). სოციალისტური პარტიის სადირექტივო კომიტეტმა დაადგინა გასწყვიტოს კავშირი მემარცხენე პარტიების დელეგაციასთან, რომელიც უკანასკნელი თვეების განმავლობაში შრომის საყოველთაო კონფედერაციის მიწვევით რეგულარულად იკრიბებოდა საფრანგეთის საშინაო პოლიტიკის მწვავე საკითხების გამსახილველად. მემარცხენე პარტიების დელეგაცია შესდგება შრომის საყოველთაო კონფედერაციის, ადამიანის უფლებათა ლიგის, რადიკალ-სოციალისტთა პარტიის, სოციალისტთა პარტიისა და კომუნისტთა პარტიის წარმომადგენლებისაგან. როგორც ცნობილია, მემარცხენე პარტიების დელეგაციამ ამას წინათ შეიმუშავა მთავრობის პროგრამის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს საფრანგეთში პროგრესული საშინაო რეფორმების განხორციელებას. სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელი კომიტეტის გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ სოციალისტური პარტია მონაწილეობას აღარ მიიღებს მემარცხენე პარტიების დელეგაციის მუშაობაში, ვინაიდან ამ დელეგაციას მუდმივი ხასიათის მიეცემას ეპირებენ.

საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის ამ გადაწყვეტილებას განიხილავენ, როგორც იმის ლოგიკურ შედეგს, რომ სოციალისტთა ხელმძღვანელი კომიტეტი ახორციელებს „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" პარტიისადმი დაახლოების პოლიტიკას, პარტიისა, რომელიც წარმოდგენილი არ არის მემარცხენე პარტიების დელეგაციაში. როგორც ამასთანავე აღნიშნავენ, მთავრობის ამასწინანდელი კრიზისის დროს სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობა დაჟინებით მოითხოვდა, რომ „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" პარტიას უსათუოდ მიეღო მონაწილეობა მთავრობის შემადგენლობაში. არსებული ცნობებით, მემარცხენე პარტიების დელეგაციასთან კავშირის გაწყვეტის საკითხის განხილვა ხელმძღვანელი კომიტეტის სხდომაზე ხანგრძლივი და მღელვარე იყო. ამასთან ერთად კომუნისტური პარტიის სამდივნოს წერილის პასუხად სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელმა კომიტეტმა თავის დელეგაციას შემთანხმებელ კომიტეტში დაავალა კომპარტიის წარმომადგენლებთან ერთად განიხილოს საკითხი ამ ორი პარტიის ურთიერთობის მდგომარეობის შესახებ. ცნობილია, რომ შემთანხმებელი კომიტეტი ერთხელაც არ შეკრებილა მთავრობის კრიზისის შემდეგ.

# ამერიკული პრესა მანილაში და ბახრეინის კუნძულებზე მყოფი ამერიკელთა ჯარების დემობილიზაციის შეჩერების შესახებ

**ნიუ-იორკი**, 26 დეკემბერი. (საქტასი). ამერიკული პრესა დიდ ყურადღებას უთმობს იმ ცნობას, რომ 25 დეკემბერს მანილაში ამერიკის არმიის შეკეთების მომზადების ცენტრის შტაბის წინ დემონსტრაცია გამართა 4 ათასმა ამერიკელმა ჯარისკაცმა, რომლებიც შინ დაბრუნებას მოითხოვდნენ.

როგორც ასოშიეტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი მანილიდან იუწყება, დემონსტრაცია იმით იყო გამოწვეული, რომ სამხედრო ხელისუფლებმა შესწყვიტეს ამერიკის საზღვაო ტრანსპორტებით ამერიკელთა ჯარების გაგზავნა სამშობლოში. ოფიცერთა ბრძანებით დემონსტრაციის მონაწილენი ბარაკებში დაბრუნდნენ, მაგრამ 26 დეკემბრისათვის დანიშნეს მიტინგი გემების გაგზავნის შეწყვეტისა და დემობილიზაციის საქმეზე სხვა საჩივართა განსახილველად.

როგორც ვაშინგტონის გაზეთის „პ. მ."-ს კორესპონდენტი იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრო აყოვნებს იმ საჰაერო ძალების, ძირითადად კავშირგაბმულობის რაზმების პირადი შემადგენლობის დაბრუნებას სამშობლოში, რომელნიც ამჟამად ბახრეინის კუნძულებზე (სპარსეთის ყურეში) იმყოფებიან, თუმცა არმია ბახრეინის აეროდრომით აღარ სარგებლობს. ვარაუდობენ, რომ ეს შენაერთები გადაყვანილ იქნებიან კუნძულ დხარამის ახალ აეროდრომზე სპარსეთის ყურეში, რაც იენისში მოხდება. კუნძულ ბახრეინზე მყოფი საჰაერო ძალთა შენაერთის პირადი შემადგენლობა კი იმას უჩივის, რომ იგი იძულებულია მომსახურება გაუწიოს ამერიკის სამოქალაქო საავიაციო კომპანიებს, მათ შორის „პან-ამერიკენ ეირუეისის" კომპანიის რადიოქსელს. ეს კომპანიები შეიარაღებული არმიების პირად შემადგენლობას იყენებენ აეროპორტებისა და სხვა მოწყობილობის დასაცავად. მათ იმედი აქვთ ეს მოწყობილობა გამოიყენონ ომის შემდეგ, რათა გაბატონებული მდგომარეობა დაიკავონ შუა აღმოსავლეთში საჰაერო კავშირგაბმულობის სისტემაში.

# საბერძნეთის მთავრობამ აკრძალა ეამის დემონსტრაცია

**პარიზი**, 27 დეკემბერი. (საქტასი). როგორც პარიზის რადიო გადმოგვცემს, საბერძნეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის (ეამის) ხელმძღვანელობამ მთავრობას მიმართა თხოვნით ნება დართოს დემონსტრაციის მოწყობისა შემდეგი ლოზუნგებით: ეამის წარმომადგენელთა შეყვანა მთავრობაში და საყოველთაო ამნისტიის გამოცხადება. ამ თხოვნის პასუხად საბერძნეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ სოფულისმა განაცხადა, რომ არ შეიძლება ნებადართულ იქნას ასეთი დემონსტრაცია. კანონი ამნისტიის შესახებ, — განაცხადა სოფულისმა, — არ შეიძლება შეცვლილ იქნას, საბერძნეთის მთავრობის არავითარი გაფართოება არც მემარჯვენეთა და არც მემარცხენეთა სასარგებლოდ არ მოხდება.

# იუგოსლავიაში დასაჯეს ფაშისტი მოღალატეები

**ბელგრადი**, 26 დეკემბერი. (საქტასი). ბელგრადის რადიო გადმოგვცემს, რომ სპლიტში დამთავრდა ხორვატიის კვისლინგ პაველიჩის სამსახურში მყოფი ყოფილი სახელმწიფო ოფიცრების ჯგუფის პროცესი. 3 ბრალდებულს მიუსაჯეს დახვრეტა, ერთს—10 წლით პატიმრობა, ერთს—8 წლისა, სამს—5 წლისა. ყველა მსჯავრდადებულს ერთმევა პოლიტიკური და სამოქალაქო უფლება და მათი ქონება კონფისკებულ იქნება. ორი ბრალდებული სასამართლომ სასჯელისაგან გაათავისუფლა.

# ამერიკის ჯარების რაოდენობა საფრანგეთში

**პარიზი**, 27 დეკემბერი. (საქტასი). პარიზში არსებულმა ამერიკის საინფორმაციო სამსახურმა გამოაქვეყნა ცნობა საფრანგეთში ამერიკის ჯარების რაოდენობის შესახებ. ერთი წლის წინათ საფრანგეთის ტერიტორიაზე ითვლებოდა ამერიკის 2 მილიონი ჯარისკაცი. აქედან 1946 წლის 1 იანვრისათვის რჩება 305 ათასი კაცი (მათ შორის 150 ათასი კაცი მზადდება შეერთებულ შტატებში გასაგზავნად).

# ცნობა ლიბანის დიპლომატიური მისიისა პარიზში

**პარიზი**, 27 დეკემბერი. (საქტასი). პარიზში არსებულმა ლიბანის დიპლომატიურმა მისიამ ცნობა გამოაქვეყნა ლიბანის მთავრობის ოფიციალური თვალსაზრისის შესახებ საფრანგეთ-ინგლისის 13 დეკემბრის შეთანხმების გამო.

„სარგებლობს რა იმავე უფლებებით, რომლებითაც სარგებლობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაწილე ყველა სხვა ქვეყანა,—ნათქვამია ცნობაში,—ლიბანი მოითხოვს მის ტერიტორიაზე მყოფი უცხოეთის ყველა ჯარების სრულ და დროულ ევაკუაციას. ლიბანს განზრახული აქვს მეგობრული ურთიერთობა იქონიოს მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან თავის ვალდებულებათა და თავის უფლებათა ფარგლებში. როგორც გაერთიანებული ერების და არაბული ქვეყნების ლიგის წევრი, ლიბანი უარს ამბობს გახდეს დასაყრდენი პუნქტი არაბული ქვეყნების დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

# ამერიკის საექსპორტო-საიმპორტო ბანკის სესხი საფრანგეთს

**ლონდონი**, 27 დეკემბერი. (საქტასი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, გუშინ საფრანგეთის ეროვნულმა დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად მოიწონა პროექტი ამერიკის საექსპორტო-საიმპორტო ბანკის მიერ საფრანგეთისათვის 550 მილიონი დოლარი სესხის მიცემის შესახებ.

# ფრანკის დევალვაციის კანონპროექტის განხილვა დამფუძნებელ კრებაში

**პარიზი**, 27 დეკემბერი. (საქტასი). ფრანს პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ გუშინ დამფუძნებელ კრებაში დაიწყო კამათი ბრეტონ-ვუდსში დადებულ შეთანხმებათა რატიფიკაციისა და ფრანკის დევალვაციის საკითხზე. ყველა ორატორი ერთსულოვნად ხაზგასმით აღნიშნავდა ბრეტონ-ვუდსის შეთანხმებათა რატიფიცირების საჭიროებას. საფინანსო კომისიის გენერალური მომხსენებლის კრისტიან პინოს სიტყვით, ბრეტონ-ვუდსის შეთანხმებანი „ეკონომიური თანამშრომლობის პირველ სერიოზულ ცდას წარმოადგენენ". პინო ამ შეთანხმებათა მოწონებას უკავშირებდა ფრანკის დევალვაციას, რასაც საფრანგეთის მთავრობა ახორციელებს.

კამათის დამთავრების შემდეგ ფრანკის დევალვაციის კანონპროექტი მიღებულ იქნა 506 ხმით 44 ხმის წინააღმდეგ.



**თბილისი.** სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული მუსიკალური ათწლედის ჩერნიავსკაიას ფორტეპიანოს კლასის ფრიადოსანი მოწაფე ალიკო ნიჟარაძე ვარჯიშობს როიალზე.

ფოტო ნ. ჯომიდავასი.

# საქართველოს მოჭადრაკეთა ჩემპიონატი

## მერვე ტური

მერვე ტურში სერედამ წააგო ცინცაძესთან. ფალავანდიშვილმა მოუგო გასიევს. საინტერესო თამაშის შემდეგ მალაშხიასა და ნერსესოვის პარტია დასრულდა ყაიმით. ქუთ-ტრიპოლიტოვმა მორიგი დამარცხება განიცადა არუთინოვთან. ტარსაიძემ გამარჯვებას მიაღწია გიორგაძესთან.

დანარჩენი პარტიები გადაიდო: პეტროსიანს მოსაგები მდგომარეობა აქვს კაკაბაძესთან. სოროკინს უკეთესი მდგომარეობა აქვს კაკიაშვილთან და აგამალიანს ფხალაძესთან.

## მეცხრე ტური

მეცხრე ტურში გასიევმა მოუგო ქუთ-ტრიპოლიტოვს. ჩქარა დამარცხდა ტარსაიძე პეტროსიანთან. ცინცაძემ, რომელიც კაკიაშვილის წინააღმდეგ თამაშობდა, დებიუტშივე მიღებული უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა და პარტია მოიგო. მალაშხიას და ფალავანდიშვილის პარტია ყაიმით დასრულდა. კაკაბაძემ დებიუტი სწორად ვერ გაითამაშა არუთინოვის წინააღმდეგ, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, ბევრი იფიქრა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და ცაიტნოტში პარტია დასთმო. სოროკინმა მოუგო ფხალაძეს, ხოლო აგამალიანი დამარცხდა ნერსესოვთან. სერედა—გიორგაძის პარტია ამ დღეს არ გათამაშებულა.

წინა ტურებიდან გადადებულ პარტიებში არუთინოვმა და ნერსესოვმა გაუთამაშებლად დასთმეს პარტია ფალავანდიშვილთან და პეტროსიანთან. ნერსესოვი და გასიევი შეთანხმდნენ ყაიმზე.

ცხრა ტურის შემდეგ მდგომარეობა ასეთია: პეტროსიანი — 7 (1 გადადებული), არუთინოვი — 6½, ცინცაძე — 6 (3 გადადებული), სერედა — 6 (1 გადადებული), მალაშხია — 5 (1 გადადებული).

# დ. გ. მღივნის ხსოვნას

გარდაიცვალა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სამტრესტის თბილისის პირველი ღვინის ქარხნის მთავარი მეღვინე დავით გიორგის-ძე მღივანი.



დ. მღივანი 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ემსახურა ჩვენი მეღვინეობის აღორძინების საქმეს, მთელ თავის ცოდნას და ენერგიას ახმარდა ამ დარგში მეცნიერულ-პრაქტიკულ მუშაობას. როგორც მაღალ კვალიფიციურმა სპეციალისტმა, დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს ღვინის მრეწველობის განვითარებაში. 1924 წელს საქართველოში ერთ-ერთმა პირველთაგანმა დაიწყო შემაგრებული, ტკბილი და სადესერტო ღვინოების დაყენება, რამაც დიდი მოწონება ჰპოვა საბჭოთა კავშირის ბაზარზე.

დ. მღივანი ბევრს მუშაობდა ახალგაზრდა კადრების აღსაზრდელად. მის მიერ აღზრდილი ბევრი სპეციალისტი-მეღვინე ამჟამად წარმატებით მუშაობს ღვინის მრეწველობაში.

დ. მღივანს გამოქვეყნებული აქვს მრავალი ნაშრომი, რომლებიც ხელს უწყობენ საქართველოში მეღვინეობა-მევენახეობის განვითარების საქმეს.

დ. გ. მღივანი იყო თავდადებული, დაუზარებელი, ენერგიით აღსავსე ენტუზიასტი მუშაკი. როგორც მოწინავე ადამიანი, დაჯილდოებული იყო მედლით „კავკასიის დაცვისათვის" და სსრ კავშირის კვების მრეწველობის ფრიადოსნის ნიშნით.

ჩვენში სამუდამოდ დარჩება დ. გ. მღივნის ხსოვნა.

**ზ. ნ. კეცხოველი, კ. ბარიგიანი, აკადემიკოსი ნ. ნ. კეცხოველი, პროფესორი ვ. მოდებაძე, პროფესორი დ. გედევანიშვილი, კ. ბახტაძე, პ. აზარაშვილი, ა. ბერუჩაშვილი, გ. დევიძე, გ. მაპავარიანი, გ. მგალობლიშვილი, გ. კანდელაკი, ნ. ბუჯიაშვილი, მ. პირველი, პ. სირაძე, ა. შამუგია, გ. ჯაველიძე, ვ. ციციშვილი, ს. ყიფიანი, პ. ხეცურიანი, ა. მაჩაიძე, პ. კიკვიძე, მ. ზირაქიშვილი, დ. ჯაფარიძე, ა. ბუჩუკური, პ. მახარაშვილი, ბ. ჭანიშვილი, გ. გიგაშვილი, მ საკარული, ნ. გაბაშვილი, ნ. ვარდანაშვილი, ნ. ჭანთლაძე, ბ. ყარამნიშვილი, გ. ავალიშვილი, ა. ხატიაშვილი.**

# შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში

სასპორტო საზოგადოება „დინამოს" საბჭომ 24, 25 და 26 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო ცირკში მოაწყო რესპუბლიკური შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა თბილისის, ქუთაისის, სტალინირის, ლანჩხუთის, კასპის, დუშეთის, საგარეჯოს, გურჯაანის და თელავის „დინამოს" 50 მოჭიდავე. შეჯიბრება ჩატარდა წონის შვიდსავე კატეგორიაში.

პირველი ადგილი დაიკავეს: მჩატე წონაში ი. თედიაშვილმა (თბილისი), ქვემსუბუქ წონაში ვ. პეტრიაშვილმა (თბილისი), მსუბუქ წონაში ი. გაიხარიშვილმა (თბილისი), საშუალო წონაში ვ. დემეტრაშვილმა (კასპი), ქვემძიმე წონაში დ. რატიანმა (თბილისი), მძიმე წონაში ს. ნაკაშიძემ (თბილისი), ზემძიმე წონაში შ. გზირიშვილმა (საგარეჯო).

მეორე ადგილზე გამოვიდნენ: მჩატე წონაში ა. აბესერიძე (გურჯაანი), ქვემსუბუქ წონაში თ. ჭონქაძე (დუშეთი), მსუბუქ წონაში ა. ოთარაშვილი (თელავი), საშუალო წონაში ნ. ძაგოევი (თბილისი), ქვემძიმე წონაში ნ. ბუზარიაშვილი (თბილისი), მძიმე წონაში შ. დაუშვილი (თბილისი), ზემძიმე წონაში ნ. ფალიანი (თბილისი).

შეჯიბრებაში გამარჯვებულებს გადაეცათ „დინამოს" სიგელები და ძვირფასი საჩუქრები.

# თეატრებში

**სახელმწიფო ოპერა** — 29/XII — „ფაუსტი", 30/XII — „პიკის ქალი". **რუსთაველის სახელობის** — 29/XII— „ხევისბერი გოჩა", 30/XII — „ერთი ღამის კომედია". **გრიბოედოვის სახელობის** — 29, 30/XII — „მელიები". **მუსიკალური კომედიის** — 29/XII — „ცუგრუმელა", 30/XII—„არშინ მალ-ალან", **სანკულტურის** — 29/XII — „სევდიანი რომანი", 30/XII — „ნალექი".

# კინოებში

**29 დეკემბერს: რუსთაველის სახელობის**— „ტახირი და ზუხრა" (კინოჟურნალი „ჩელსი"— „დინამო"). **ოქტომბერი** და **დამკვრელი** — „ტახირი და ზუხრა". **კომკავშირელი** — „საღამოს 6 საათზე ომის შემდეგ". **სპარტაკი** — „არშინ მალ-ალან". **ლუქსემბურგის სახელობის** — „გაზაფხულის ვალსი" (კინოჟურნალი „ჩელსი" — „დინამო"). **ოფიცერთა სახლი** — „ჩარლის დეიდა".

პასუხისმგებელი რედაქტორი
**გ. ნანიტაშვილი**

**თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 4 სექტემბრის ბრძანებულებისა, ყველა მოქალაქეს, რომელმაც დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაწყებული 1918 წლიდან, უფლება აქვს მიიღოს და ატაროს სამკერდე ნიშანი.**

სამკერდე ნიშანი მიეცემა მხოლოდ იმათ, ვისაც მიღებული აქვს უნივერსიტეტის დამთავრების დიპლომი ან სათანადო დროისათვის დამტკიცებული მოწმობა. სხვა რამ მოწმობა (ცნობები, დროებითი მოწმობანი, დიპლომის ასლი) მხედველობაში არ იქნება მიღებული. ის პირნი, რომელთაც დაამთავრეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გამოყოფილი უმაღლესი სასწავლებლები, სამკერდე ნიშნის მიღების უფლებით არ სარგებლობენ.

წერილობითი განცხადებანი იმ პირთაგან, ვინც სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა 1918-1945 წლებში, მიიღება უნივერსიტეტის საქმეთა სამმართველოში 1946 წლის 1 მარტამდე. განცხადებაში უნდა აღინიშნოს გვარი, სახელი, მამის სახელი, უნივერსიტეტის დამთავრების წელი, ფაკულტეტი, სპეციალობა, პროფილი, დიპლომის ნომერი.

ნიშნის გაცემის დრო და წესი ცალკე იქნება გამოცხადებული.

**სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.**

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტი** აცხადებს, რომ 1946 წლის 12 იანვარს, დღის 3 საათზე, დიდ აუდიტორიაში (კამოს ქ. № 34/36) შესდგება ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომა, რომელზეც ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი **სპირიდონ ნიკოლოზის-ძე კაპუაშვილი** საჯაროდ დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ელექტროლიტების ადსორბციის შესწავლა წითელმიწა ნიადაგის ფენობრივ ნიმუშებზე".**

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **მ. ნ. საბაშვილი** და ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი **დ. ი. ერისთავი.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან ძველი მუშის **ხამსონ ბეკურაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 29/XII, 6 ს. დაკრძალვა კვირას, 30 დეკემბერს, დღის 4 ს. კუკიის სასაფლაოზე, გამოსვენება რევაზოვის ქ. № 4.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სამტრესტის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან სამტრესტის თბილისის პირველი ღვინის ქარხნის მთავარი მეღვინის **დავით გიორგის-ძე მღივნის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 29/XII, 6½ ს. გამოსვენება 30/XII, 3½ ს. პეტრიაშვილის, 22.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3 06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3. 81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 უე 09827